გამოცემის 101-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№6 (24.886) სამშაბათი, 25 - 26 იანვარი, 2022 წ. 50 თეთრი

### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 3-8, შიდამთიან რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი. ხვალ მოსალოდნელია უნალექო ამინდი, მომდევნო 2 დღეს - წვიმა, მთაში - თოვა.

## კრიალოსანი იუსი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ქართულ-გერმანულ-ფრანგული პოლიტიკური სამკუთხედის ფარგლებში, კონსულტაციების მესამე რაუნდი გაიმართა. გერმანიის დელეგაციას წარმოადგენდა აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საკითხებზე გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს სპეციალური წარმომადგენელი მათიას ლუტენბერგი, ხოლო საფრანგეთის მხარეს - ევროპისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტინენტური ევროპის დირექტორატში კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართულების ხელმძღვანელი რემი ბუალეგი. მხარეებმა ისაუბრეს რეგიონში არსებულ მდგომარეობასა და უსაფრთხოების გამოწვევებზე.

* * *

კოვიდის გამოვლენის შემთხვევაში, შიდა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სკოლები კვლავ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელთა მხრიდან მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად მოქმედებენ და ცალკეული კლასი ან სკოლა მყისიერად გადადის დისტანციურ სწავლებაზე. ამ ეტაპზე დისტანციურ სწავლებაზე იმყოფება სრულად 21 სკოლა, ხოლო 84 ცალკეული კლასი, - ინფორმაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, სწავლების დისტანციურ ფორმატში წარმართვის სურვილი საქართველოს მასშტაბით რისკის ჯგუფის 80-მა მასწავლებელმა გამოთქვა.

* * *

ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და სურსათის უვნებლობის სისტემის შემდგომი პროგრესის უზრუნველყოფა საქართველოში“, ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეაჯამეს და სამომავლო გეგმები განიხილეს ღონისძიებაზე, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი დაესწრო. „საქართველო ახლა მნიშვნელოვან ეტაპს გადის სურსათის უვნებლობის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის და ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების მიმართულებით და ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია პროექტში ჩართული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება“ - განაცხადა შეხვედრაზე გიორგი ხანიშვილმა.

* * *

ჩატარებული ინტენსიური გაწმენდითი სამუშაოების შედეგად, საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზასა და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქობულეთის შემოვლით საავტომობილო გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია, - ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს. უწყების ცნობით, 25-26 იანვარს გორის საავტომობილო გვირაბში მოძრაობის დროებითი გადართვა დაწესდება.

# „ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი ბათუმის ახალ სტადიონზე გაიმართება“



***საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 4 წევრს კორონავირუსი დაუდასტურდა, რის გამოც მთავრობის გუშინდელ სხდომას მინისტრების მხოლოდ ნაწილი ესწრებოდა. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ყურადღება გაამახვილა სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები დევნილების ახალი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის საკითხზე და აღნიშნა, რომ სამინისტრო მათ ორ გზას სთავაზობს:*** თავად მოიძიონ ბინა თბილისში - ამ შემთხვევაში სააგენტო ერთ კვადრატულ მეტრში 550 დოლარს გადაიხდის; ასევე, მათ აქვთ ალტერნატივა, დაელოდონ მათთვის შეძენილი ბინების მშენებლობის დასრულებას. ამ შემთხვევაში, სააგენტო დევნილებს ქირის თანხით უზრუნველყოფას სთავაზობს. „სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები ოჯახები, ახალი მინისტრის დაპირებისამებრ, ახალ საცხოვრებელ ფართებს წლის ბოლომდე უპირობოდ მიიღებენ,“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც ცნობილია, საქართველოს გადაეცა 4 000 კვმ მიწა მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, ამ წმინდა მიწაზე ქართული კულტურის ცენტრის აშენებაა დაგეგმილი. ამ მიზნით შეიქმნა სამთავრობო კომისია და დაიწყება მუშაობა კონცეფციასა და პროექტზე. ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ პროცესში პატრიარქის როლს. „მის უწმინდესობასთან ერთად, კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას იორდანიის მეფე აბდულა მეორეს, პრინც ღაზის, იერუსალიმის პატრიარქ თეოფილუსს, იორდანიის არქიეპისკოპოსს და ყველას, ვინც ჩართული იყო ამ პროცესში, განსაკუთრებით ჩვენს ელჩს იორდანიაში ზაზა კანდელაკს და საგარეო საქმეთა სამინისტროს“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა არსებულ კოვიდვითარებაზეც ისაუბრა და მოსახლეობას ვაქცინაციისკენ მოუწოდა.

„მიმდინარე კვირაში მზარდია კოვიდით ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობა. ქვეყნის შესაბამისი სექტორები მზადყოფნაშია. ინტენსიურად მიმდინარეობს ეპიდპარამეტრების მონიტორინგი და მათი უწყვეტი ანალიზი. ბოლო დღეების განმავლობაში ტესტირებით გამოვლენილია ინფიცირების საკმაოდ მაღალი დღიური ციფრი, თუმცა სიკვდილიანობა 1.4%-ია, რაც საკმაოდ დაბალია და კლების ტენდენცია ამ კვირაშიც ნარჩუნდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დრომდე, მიუხედავად ახალი შემთხვევების მზარდი დინამიკისა, ეს ყოველივე არ ასახულა ჰოსპიტალურ სექტორზე და ზეწოლა ძირითადად, ლაბორატორიულ და პირველადი ჯანდაცვის სექტორზეა. მინდა, მოსახლეობას მოვუწოდო, ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში. გვინდა, რომ რეგიონებსა და სოფლებში უფრო ინტენსიურად დავიწყოთ ვაქცინაცია. მოსახლეობას შევახსენებ, რომ 50 წელს ზევით 200-ლარიან წამახალისებელ დანამატს ვუხდით და გვინდა ეს პროცესი უფრო გავაფართოოოთ - სოფლებში ჩავიტანოთ ვაქცინები. იმის მიუხედავად, რომ „ომიკრონი“ საკმაოდ სუსტად მიმდინარეობს, საფრთხე მაღალია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ასაკშია და ვისაც ქრონიკული დაავადებები აქვს. ამიტომ აუცილებელია, ამ ჯგუფებზე მეტი აქცენტი გაკეთდეს, რომ ყველა ის ვაქცინა, რომელიც დღეს ხელმისაწვდომია, ათვისებული იყოს“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა იმპორტიორ კომპანიებს მოუწოდა, თურქეთიდან რაც შეიძლება სწრაფად შემოიტანონ ხარისხიანი და იაფი მედიკამენტები. როგორც მან სხდომაზე აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლებამ დაპირებისამებრ, გახსნა თურქეთის ფარმაცევტული ბაზარი, რაც, მათი ვარაუდით, საქართველოში მკვეთრად გააიაფებს მედიკამენტების ფასებს.

2022 და 2023 წლებში საქართველო კალათბურთის ევროპის ჩემპიონატს, 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატს, მსოფლიო ჩემპიონატს სათხილამურო „ფრი სტაილსა“ და „სნოუბორდში“ და მსოფლიო თასის ეტაპებს უმასპინძლებს.

„საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის დედაქალაქში ახალი ევროპული სტანდარტების სპორტის სასახლე შენდება, რომელიც ამ ზაფხულს დასრულდება და ჩვენ ღირსეულად ჩავატარებთ ევროპის ჩემპიონატს თბილისში. სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრები სექტემბერში ზედიზედ მეხუთედ მიიღებს მონაწილეობას ევროპის ჩემპიონატში, რაც ქართული კალათბურთისა და ზოგადად, ქართული სპორტის დიდი წარმატებაა.

ასევე, მინდა გაცნობოთ, რომ 2023 წელს, ფეხბურთში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ჩატარდება თბილისსა და ბათუმში, ქუთაისშიც გაიმართება მატჩები და რუმინეთთან ერთად, ჩვენ ვუმასპინძლებთ 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატს. ჩამოვა 8 ქვეყნის შერჩეული გუნდი. ფინალური მატჩი გაიმართება ბათუმის ახალ სტადიონზე. ეს იქნება 2023 წელს დიდი მოვლენა. ფეხბურთის არაერთი ვარსკვლავი ჩამოვა და ქართველ გულშემატკივარს მათი ხილვის საშუალება ექნება... დღეს შეიქმნება დროებითი სამთავრობო კომისია, რომელიც ამ ჩემპიონატის წარმატებით ჩატარებას გაუწევს ორგანიზებას.

2023 წელს, 19 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით, ბაკურიანში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო „ფრი სტაილსა“ და „სნოუბორდში“, რომელიც ასევე დიდი მოვლენაა და ამისთვის ჩვენ ინტენსიურ სამუშაოებს ვახორციელებთ. სამი ახალი სასრიალო ტრასა მოეწყობა და უამრავი სამუშაო ტარდება, რაც საბოლოო ჯამში, ბაკურიანს და ჩვენს მოსახლეობას დარჩება. მიმდინარე წლის 18-19 თებერვალსა და 5-6 მარტს კი ბაკურიანი მსოფლიო თასის ეტაპებს უმასპინძლებს“, აღნიშნა პრემიერმა.

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

**ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.**

**გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!**

**ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!**

**წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**

**577 20 43 55.**



# საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი, ელჩი მარეკ შჩიგელი ესტუმრა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვიზიტის ფარგლებში მისიის ხელმძღვანელი საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილე ლელა ჩიქოვანსა და თავდაცვის ძალების მეთაურს, გენერალ-მაიორ გიორგი მათიაშვილს შეხვდა.

უწყების ცნობით, შეხვედრებზე მხარეებმა თავდაცვის სამინისტროსა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას შორის მიმდინარე თანამშრომლობის საკითხები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული თანამშრომლობის პოზიტიური დინამიკის მიმართულებები განიხილეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ყურადღება გამახვილდა ოკუპირებულ ტერიტორიებსა და რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოზე. საუბარი ასევე შეეხო საერთაშორისო მისიებში ქართული მხარის კონტრიბუციის მნიშვნელობას.



# თოვლისგან იწმინდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***შუახევის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული ერთეულებისა და სოფლების მიმართულებით გზების თოვლისგან გაწმენდითი სამუშაოები ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს***

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის 15 ერთეული ტექნიკა თოვლის საფარისგან გაწმენდით სამუშაოებს აწარმოებს შუახევი - შუბნის ცენტრალურ გზაზე, ასევე იწმინდება გზები შუბანი - ტომაშეთის, ლომანაური - ვიახიძეების, ოლადაური - კარაპეტის, მაწყვალთა-პაპოშვილების, ცინარეთი - ლაკლაკეთი - მოფრინეთის,ზამლეთი - ბუთურაულის, ნიგაზეულის, ხიჭაური - ნაღვარევის, ჭვანა გომარდულის,ხიჭაური - ახალდაბა - წყაროთის, სხეფი - ღორექეთი - გომარდულის მიმართულებით.

გაწმენდითი სამუშაოები ეტაპობრივად, მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც მიმდინარეობს. ბევრგან სასიცოცხლო ობიექტებამდე მისასვლელი ტერიტორიები თოვლის საფარისგან გაწმენდილია.

აბონენტებს ელექტროენერგია სრული დატვირთვით მიეწოდებათ.



# სალოტბარო ხელოვნებას ეუფლებიან

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***რამდენიმე წელია შუახევში სალოტბარო ჯგუფი მოქმედებს, რომელსაც ზურაბ ვერძაძე ხელმძღვანელობს***

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხალხური მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი ნანა ვალიშვილი სალოტბარო სკოლების პედაგოგებს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა იყო - „ქართული ტრადიციული კილო-ჰარმონიული კანონზომიერებები და ევროპულ კლასიკურ კანონზომიერებებთან მათი მიმართება“.

- „ქართველებს არა მხოლოდ უნიკალური მრავალხმიანობა გვაქვს,არამედ უძველესი და ჩამოყალიბებული მუსიკალურ-სააზროვნო სისტემა და კანონზომიერებები, რაც ხალხური სიმღერისა თუ გალობის მოსმენისა და ანალიზის შედეგად თვალსაჩინოდ იკვეთება.

ეს გარკვეულ ბარიერს ქმნის როგორც სიმღერა-გალობის ნოტაციის,ასევე შესრულების დროს. ამაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ინფორმაციის მოზღვავების ეპოქაში მძლავრი „უცხო“ შენაკადები საფრთხეს უქმნის ჩვენს ტრადიციულ მუსიკალურ აზროვნებას და ადვილად შეიძლება ჩავიკარგოთ მსოფლიო გლობალიზაციის ოკეანეში, - აღნიშნა თავის გამოსვლაში ეთნომუსიკოლოგმა ნანა ვალიშვილმა.




ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ბოლო ექვს წელიწადში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 26 სალოტბარო სკოლა გახსნა. სკოლებში ბავშვები უფასოდ ეუფლებიან ტრადიციულ ქართულ სიმღერა-გალობას და მუსიკის ელემენტარული თეორიის საფუძვლებს. მათ შორისაა შუახევიც.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წამოწყებას, ცენტრის სპეციალისტებთან ერთად,გულშემატკივრობენ და მხარს უჭერენ კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. ისინი უსასყიდლოდ მართავენ ონლაინ-შეხვედრებს პედაგოგებთან და ლოტბარებთან პედაგოგიკის,ფსიქოლოგიის თუ სხვადასხვა სამუსიკო დისციპლინის საკითხებზე.

ეთნომუსიკოლოგ ნანა ვალიშვილთან შეხვედრას ესწრებოდნენ: დინარა შუბითიძე,ნარგიზ გვიდიანი, დალი გუგეშაშვილი, ლიკა დარბაიძე,მარიამ კაპანაძე,მერაბ ციმინტია,გიგა დიასამიძე.

მსგავსი შეხვედრები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან მომავალშიც გაგრძელდება.

- ჩვენი მიზანია,მთაში მცხოვრებ ნორჩებს სალოტბარო ხელოვნების საფუძვლები შევასწავლოთ, - გვითხრა შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე ვახტანგ გოგრაჭაძემ.

# სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს

შავი ზღვის კვლევის საერთაშორისო ცენტრის კოორდინაციით დაწყებული პროექტის „Black Sea Cruise- Sustainable Small -Scale Cruising/ Yachting“ ფარგლებში, საზღვაო აკადემიის ორგანიზებით, პროექტის მონაწილეებთან და საზღვაო სფეროს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და საზღვაო სფეროში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს 6 საზღვაო უნივერსიტეტის ჩართულობით, მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის გაანალიზებას ახალი, მცირე ზომის საკრუიზო/იახტინგის მოდელებისთვის, შავი ზღვის რეგიონში საქმიანობის მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს შავი ზღვის აუზში საკრუიზო სექტორის პოტენციალის ზრდის შესაძლებლობები და შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა პროექტით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.



ანკა ჩხიკვაძე

## ამბები

### შაბათ-კვირის ქრონიკა

აცრასთან დაკავშირებით, მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებისთვის საინფორმაციო ტიპის შეხვედრები გრძელდება. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში მოქალაქეების შეკითხვებს ექიმი ბიძინა კულუმბეგოვი პასუხობდა. დაგეგმილია სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან კარდაკარის პრინციპით შეხვედრებიც. ვაქცინაციის ტემპი ქვეყანაში ისევ დაბალია. დღე-ღამის განმავლობაში 5000-მდე ადამიანიც არ აცრილა.

* * *

სასმელი წყლის მიწოდების პრობლემის გამო ახალშენში გზა გადაკეტეს. მოსახლეობის ნაწილი ამბობს, რომ ორასამდე ოჯახს სასმელი წყალი სხვადასხვა მიზეზის გამო პერიოდულად არ მიეწოდება. ადგილზე პოლიციის გამოჩენის შემდეგ აქციის მონაწილეებმა გზა გახსნეს. ხელვაჩაურის მერის წარმომადგენლის თქმით, უბანს საკუთარი წყლის სისტემა აქვს. აუზი წყალსაქაჩი გენერატორის მეშვეობით მარაგდება. აცხადებენ, რომ ორი დღის წინ წყალსაქაჩი დაზიანდა, ამჟამად კი პრობლემა მოგვარებულია და წყალი ოჯახებს ეტაპობრივად მიეწოდება.

* * *

ბათუმში უკრაინის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. სამოქალაქო აქტივისტები, პოლიტიკოსები ევროპის მოედანზე შეიკრიბნენ და ხელისუფლებას უკრაინის აქტიური მხარდაჭერისკენ მოუწოდეს. მათი თქმით, საქართველოს პოზიცია უკრაინისთვის მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს სუვერენიტეტის მომავალი დღეს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან პირდაპირ კავშირშია.

* * *

საქართველოს ჩემპიონი ბათუმის „დინამო“ თურქეთში ამხანაგურ ასპარეზობებში მონაწილეობას განაგრძობს. ახალი სეზონის მოსამზადებელ პერიოდში კი მეორე საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ჩენსტოხოვას „რაკოვთან“ გამართა და ფრედ 3-3 ეთამაშა. შეხვედრაში ანგარიში მე-12 წუთზე თორნიკე გაფრინდაშვილმა გახსნა. პირველი ნახევარი კი ფრედ 2-2 დასრულდა. 83-ე წუთზე მატჩში დუბლი თორნიკე გაფრინდაშვილმა შეასრულა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში 3-3 დააფიქსირა. პირველ ამხანაგურ მატჩში გია გეგუჩაძის გუნდი პოლონურ პოზნანის „ლეხს“ დაუპირისპირდა და 2-1 დაამარცხა. მოსამზადებელ პერიოდში შავიზღვისპირელები შემდეგ შეხვედრას 27 იანვარს სლოვენიის ჩემპიონატის წარმომადგენელ ველენიეს „რუდარის“ წინააღმდეგ გამართავს.

* * *

ბათუმის საკალათბურთო კლუბი ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალურ ტურნირს ნახევარფინალში გამოეთიშა. ნახევარფინალურ შეხვედრაში ბათუმელები ტურნირის მოქმედ ჩემპიონთან 30-ქულიანი სხვაობით - 63-93 დამარცხდნენ. შეგახსენებთ, რომ „ბათუმმა“ ჯგუფში ორივე შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილით ნახევარფინალში გავიდა.

# უკრაინა ახალი ომის ზღვარზე - რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების მორიგი ეტაპი...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***მსოფლიოში ახალი მსოფლიო გადანაწილების მცდელობაა დაწყებული, რასაც ზესახელმწიფოები არც მალავენ, მით უმეტეს რუსეთი, რომელიც საბჭოთა კავშირის მსგავსი გაერთიანების შექმნას ცდილობს და დასავლეთს ულტიმატუმს უყენებს*** სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, ამ ულტიმატუმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნატო არ უნდა გაფართოვდეს აღმოსავლეთით, ანუ უკრაინა და საქართველო ნატოში არ უნდა გაწევრიანდნენ. ეს მუქარის ტონს შეიცავს და ის რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ცხადია - უკრაინის საზღვართან რუსეთის ასიათასიანი ჯარია მობილიზებული, რაც დასავლეთის შეშფოთებას იწვევს.



მეორე მსოფლიო ომის და კარიბის კრიზისის შემდეგ მსოფლიო თანამეგობრობა უმწვავესი გამოწვევის წინაშეა, თუ უკრაინაში ომი გაჩაღდა, ანუ რუსეთი შეიჭრა და გარკვეული ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა, ცხადია, ეს ომი უკვე რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების მორიგი ეტაპი იქნება, რაზეც ექსპერტები ღიად საუბრობენ. საქმე ის არის, რომ უკრაინის გარეშე საბჭოთა კავშირის მსგავსი გაერთიანების შექმნა უტოპიაა, ეს კარგად იციან როგორც რუსეთში, ისე დასავლეთშიც. თუკი კრემლი მოახერხებს უკრაინის თავის ორბიტაზე დაბრუნებას, საფრთხე უკვე ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც შეექმნება, ყოველ შემთხვევაში ასე ამბობენ თავად ამ სახელმწიფოების ლიდერები. როგორ განვითარდება მოვლენები რუსეთ-უკრაინის ომის შემთხვევაში, რას მოიმოქმედებს აშშ და ნატო? ეს კითხვები ნამდვილად დროულია, რადგან პრეზიდენტმა ბაიდენმა პირობა დადო, რომ რუსეთის აგრესიის შემთხვევაში, მას ჯოჯოხეთური სანქციები დაედება. გარდა ამისა, ანალიტიკოსები იმასაც ამბობენ, რომ რუსეთს გაუჭირდება უკრაინის დაპყრობა, ანუ ეს ომი იქნება ხანგრძლივი. 2014 წლის შემდეგ უკრაინა სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერდა, მაშინ უკრაინამ ყირიმი უომრად დათმო, მხოლოდ აღმოსავლეთ უკრაინაში იომა და სეპარატისტულ ძალებს, რომლებსაც რუსეთი ეხმარებოდა, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა დონბასი დაკარგა. მას შემდეგ რვა წელი გავიდა, დასავლეთის მხარდაჭერით უკრაინამ შეძლო შეიარაღებული ძალების გაძლიერება. ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთმა შანსი გაუშვა აგრესიის წარმატებით განხორციელების თვალსაზრისით, ანუ ორი წლის წინათ უკრაინას და დასავლეთს ამ ომის წარმოება გაუჭირდებოდათ, მოუმზადებელნი იყვნენ. ახლა სიტუაცია შეიცვალა თანაც მსოფლიო ლიდერები მოუწოდებენ რუსეთს, არ გადადგას მკვეთრი ნაბიჯები უკრაინის მიმართ. სხვათა შორის, თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ამასწინათ განაცხადა, რომ წარმოუდგენლად მიაჩნია უკრაინაში რუსეთის ფართომასშტაბიანი შეჭრა, რადგან უკრაინა ძლიერი ქვეყანაა და ამავდროულად, დღევანდელი რეალობა რეგიონში განსხვავებულია, რასაც რუსეთი უნდა შეეგუოს. გაითვალისწინებს თუ არა პუტინი დასავლელი ლიდერების მოწოდებებს, ამას უახლოეს დღეებში გავიგებთ, თუმცა იმის თქმა დანამდვილებით შეიძლება, რომ ეს კრიზისი უკანასკნელი შანსია რუსეთის იმპერიის აღდგენისთვის, ყოველ შემთხვევაში ასე ამბობენ ექსპერტები. მაგალითად: „რონდელის ფონდის" მკვლევარი ზურა ბატიაშვილი ამბობს: „თუ რუსეთს უკრაინაში ეს გეგმა გაუვიდა, შემდეგი იქნება საქართველო. პუტინის გეგმა - ახალი ფორმით საბჭოთა კავშირის აღდგენა, ვერ გამოვა თუ მასში, არ იქნება უკრაინა და საქართველო". მისივე თქმით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპას არ ჰქონია ასეთი დიდი გამოწვევა.

რა თქმა უნდა, დასავლეთისთვის გამოწვევაა უკრაინა-რუსეთის კონფლიქტი. როგორც ვიცით, კრემლი ულტიმატუმს უყენებს დასავლეთს ნატოს არგაფართოებასთან დაკავშირებით, თუ ამაზე დათანხმდა აშშ და ევროკავშირი, ეს ცხადია, დასავლეთის კაპიტულაციად შეფასდება, რასაც, როგორც ჩანს, აცნობიერებენ დასავლეთში. თვით გერმანიის ახალი კანცლერი აცხადებს, რომ თუ რუსეთი შეიჭრება უკრაინაში, მაშინ გაზსადენი ჩრდილოეთ „ნაკადი 2" შეჩერდება, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯოჯოხეთური სანქციების ამოქმედებაზე.

ექსპერტები სვამენ კითხვას - რუსეთი მთელი უკრაინის ოკუპაციას შეეცდება, თუ მხოლოდ გარკვეული ტერიტორიების დაპყრობას განიზრახავს? შესაძლოა კრემლმა (თუ რასაკვირველია, მოახერხა) ერთი მხრივ, მარიოპულსა და ოდესას შეუტიოს, და მეორე მხრივ, დონეცკის რეგიონის დამოუკიდებლობა აღიაროს და ამით ევაჭროს დასავლეთს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. თუმცა, როგორც თქმულა, რუსეთს გონებით ვერ გაუგებ. არავინ იცის, რას მოიმოქმედებს კრემლი. ამიტომ ცდილობს დასავლეთი მასთან მოლაპარაკებების გამართვას. ჯერჯერობით, ეს უშედეგოა. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე რუსეთის მიმართ რადიკალური სანქციები არ დაწესებულა, მან გარკვეულწილად მაინც დააზარალა ეს ქვეყანა, ამას არ მალავენ რუსეთში. ამ სანქციების მიზანი ისაა, რომ რუსეთი დაუბრუნდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მაგრამ.... დაწესებული სანქციების მიუხედავად, რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში ე. წ. დაუსჯელობის სინდრომითაა გამორჩეული, აკეთებს იმას, რაც სურს. რაც შეეხება კონკრეტულ შედეგს, ამაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია, რადგან ხელი არ მიგვიწვდება შესაბამის ეკონომიკურ დოკუმენტებზე, ყოველ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ რუსეთი თავის პოლიტიკას იმავე მიზნებით, იმავე დოზით და იმავე ხერხებით ახორციელებს, როგორც ბოლო თოთხმეტი წლის განმავლობაში, აშკარად გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ მას აღნიშნული ეკონომიკური სანქციები არ აღელვებს, მაგრამ რა მოხდება რადიკალური სანქციების დაწესების შემთხვევაში, ამას მომავალი დაგვანახებს. ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთი (თუ მართლა ამოქმედდება უკიდურესი სანქციები) დაშლის პირას აღმოჩნდება. უდავოა, რომ ახლა უკრაინაზე გადის მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების მცდელობის პროცესი. კრემლი გავლენის სფეროების აღდგენას ითხოვს, ანუ პოსტსაბჭოთა სივრცეს საკუთარი გავლენის სფეროდ აღიქვამს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი მოთხოვნით, უკრაინა და საქართველო ნატოში არ უნდა გაწევრიანდნენ და ამავე დროს, რუსეთი მსოფლიოში გლობალურ აქტორად აღიარონ, აშშ კი მთავარ მოწინააღმდეგედ ჩინეთს მიიჩნევს. თუმცა ისიც ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო სისტემაში თავს განიხილავენ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალებად, აშშ რუსეთს სერიოზულ კონკურენტად მიიჩნევს საერთაშორისო სისტემაში გავლენის სფეროების მოპოვების თვალსაზრისით. თავის მხრივ, რუსეთი მიიჩნევს, რომ აშშ არის სახელმწიფო, რომელიც ხელს უშლის მისი გავლენის გაფართოებას დანარჩენ მსოფლიოში, სწორედ ამ რეალობიდან გამომდინარეობს დაძაბულობა აშშ-სა რუსეთს შორის. გარდა ამისა, დასავლეთში იციან, რომ კრემლი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნატოს რუსეთის საზღვრებთან მოახლოებას, ყველა აღიარებს, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია ამ სურვილის, ანუ ნატოს გაფართოების მცდელობის შედეგია, ვიცით, რომ ამის გამო რუსეთი არ მოერიდა საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებას. რუსეთს ყაზახეთის კრიზისიდან გამომდინარე და ყარაბაღში თავისი ჯარების განლაგებით, კიდევ უფრო სერიოზული ბეგრაუნდი აქვს მსოფლიო პოლიტიკაში, ამიტომ ცდილობს იგი უკრაინაში პოზიციების გამყარებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ან კრემლი უნდა შეეგუოს უკრაინის დასავლეთთან რეალურ დაახლოებას, რაც სამომავლოდ ნატოში ინტეგრაციის წინაპირობაა, ანდა სცადოს უკრაინის ხელისუფლების შეცვლა პრორუსული ძალების მეშვეობით. ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ დასავლეთი დათმობს უკრაინას, ამავე დროს თავად უკრაინელები შეეგუებიან კრემლის გავლენას საკუთარ ქვეყანაში, რასაც ექსპერტები არ ვარაუდობენ.

ექსპერტები ერთგვარ მსგავსებას ხედავენ უკრაინასთან შექმნილ ვითარებასა და საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ საომარი მოქმედებების დაწყების წინაპერიოდს შორის, მაგალითად, ოლიმპიადა ახლოვდებოდა, სამხედრო მანევრები ტარდებოდა, დასავლეთს ულტიმატუმს უყენებდა და ა. შ. თუმცა ზოგი მათგანი ამ ეტაპზე პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტას არ ვარაუდობს და კომპრომისს არ გამორიცხავს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ სამომავლოდ რუსეთ-უკრაინის ურთიერთობა მაინც უკიდურესად გამწვავდეს, ჰოდა ისმის კითხვა - რამდენად სერიოზულია ის საფრთხე, რომელიც რუსეთ-უკრაინას შორის ურთიერთობების ესკალაციას შეიძლება მოჰყვეს? რა გახდა დაძაბულობის რეალური მიზეზი და როგორი უნდა იყოს საქართველოს პოზიცია ამ ვითარებაში? რასაკვირველია, ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია, რადგან ერთი მხარის პოზიციის დაკავება უკვე ნიშნავს მეორე მხარის გადამტერებას, თუმცა ადრე თუ გვიან, ჩვენს ხელისუფლებას მაინც მოუწევს (თუ კონფლიქტმა საომარი ხასიათი მიიღო) თავისი პოზიციის დაფიქსირება. მანამდე ექსპერტები რუსეთ-უკრაინას შორის გამწვავებული ურთიერთობის რეალურ მიზეზებზე საუბრობენ და ესაა უკრაინის მკვეთრი დაახლოება ნატოსთან, დასავლეთთან, უფრო მეტად სამხედრო სფეროში, რაც რუსეთის შეშფოთებას იწვევს. რაც შეეხება მეორე კითხვას, ანუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს სიტუაციის გამწვავებამ საქართველოზე, ეს უპირველესად, დაკავშირებულია იმასთან, თუ რა როლს ითამაშებს საქართველო ამ კონფლიქტის შესაძლო ესკალაციის დროს, ზოგი მიიჩნევს, რომ ჩვენმა ქვეყანამ სავარაუდო დაპირისპირებაში ნეიტრალიტეტი უნდა შეინარჩუნოს, სხვები კი ფიქრობენ, რომ საქართველომ მკაფიო უკრაინული პოზიცია უნდა დაიკავოს, მომავალი გვიჩვენებს, რა სახეს მიიღებს რუსეთ-უკრაინის გართულებული ურთიერთობა. იმედია, დასავლეთი ამჯერად მაინც შეძლებს ამ ომის თავიდან აცილებას თუ არა, რუსეთისთვის მძლავრი წინააღმდეგობის გაწევას მაინც, რათა კრემლი შეეგუოს სხვადასხვა ქვეყნის თავისუფლებას და განვითარებას.

> ***„ის ფაქტი, რომ რუსეთი თავის პოლიტიკას იმავე მიზნებით, იმავე დოზით და იმავე ხერხებით ახორციელებს, როგორც ბოლო თოთხმეტი წლის განმავლობაში, აშკარად გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ მას აღნიშნული ეკონომიკური სანქციები არ აღელვებს, მაგრამ რა მოხდება რადიკალური სანქციების დაწესების შემთხვევაში, ამას მომავალი დაგვანახებს. ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთი (თუ მართლა ამოქმედდება უკიდურესი სანქციები) დაშლის პირას აღმოჩნდება***

## უცხოეთი

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა დასაშვებად მიიჩნია, თუ ამერიკის ხელისუფლება გადაწყვეტილებას მიიღებს და ათასობით სამხედროს, ავიაციასა და ფლოტს განათავსებს ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპაში, უკრაინის საზღვართან შექმნილი ვითარების ფონზე. ინფორმაციას „ვაშინგტონ პოსტი" ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, თავდაცვის უწყების მაღალჩინოსნებმა 22 იანვარს ბაიდენს წარუდგინეს მოქმედების გეგმა, რომელიც, სხვასთან ერთად, ზემოთ აღნიშნულსაც ითვალისწინებს. მანამდე ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ არ აპირებს შეამციროს თავისი სამხედრო ყოფნა ევროპაში.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი რეკომენდაციებით მიმართავს უცხოეთში მოგზაურობის მსურველებს და მოუწოდებს ამერიკის მოქალაქეებს, არ ეწვიონ რუსეთს ფედერაციის მიერ უკრაინის საზღვართან შექმნილი ვითარების გამო. ინფორმაციას სააგენტო „რია ნოვოსტი" ავრცელებს. მანამდე სახელმწიფო დეპარტამენტმა მოუწოდა რუსეთს, მიეღო ზომები უკრაინასთან დაძაბულობის შესამცირებლად. კერძოდ, უწყების მაღალჩინოსანმა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მიმართა, მიიღოს საჭირო ზომები შექმნილი კრიზისის დეესკალაციისთვის, რათა აშშ-მა და რუსეთმა შეძლონ შემდგომი ურთიერთობის გაგრძელება.

* * *

პოლიტოლოგი ნიკოლაი ზლობინი გამოცემასთან „უკრაინა. რუ" საუბრისას იმ მთავარ პრობლემას ასახელებს, რომელმაც შესაძლოა, თავი იჩინოს რუსეთის დასავლეთთან დაპირისპირების შემთხვევაში. მისი თქმით, ეს არის ის, რომ კრემლს არ აქვს მოკავშირეების მხარდაჭერის იმედი. „მაგალითად, ჩინეთს, რომელზეც დღემდე იმედებს ამყარებს მოსკოვი, არასდროს მიუღია მონაწილეობა მოკავშირეების საბრძოლო ოპერაციებში ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ და იგი ყოველთვის ცდილობდა, ჰქონოდა ნეიტრალური პოზიცია. ბელორუსსაც, ბოლო თვეების პერიპეტიების მიუხედავად, აქამდე არ უცნია ყირიმი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბელარუსსაც და ჩინეთსაც კარგი ურთიერთობები აქვთ უკრაინასთან", - დასძინა ექსპერტმა.

* * *

საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატი ერიკ ზემური რუსეთისთვის ევროპული სანქციების დაწესების წინააღმდეგია. მისი თქმით, პარიზმა უნდა იმეგობროს მოსკოვთან. „ჩვენ აღარ უნდა ვიყოთ აშშ-ის ინსტრუმენტი. ამერიკა აკეთებს იმას, რომ განაწყობს ევროპის ქვეყნებს რუსეთის წინააღმდეგ, ვინაიდან არის დიდი", - განაცხადა მან და დასძინა, რომ რუსეთთან ევროპის მცირედი დაახლოების შემთხვევაშიც კი ამერიკა მათ დაშორებას ცდილობს. ცნობისათვის, ყოფილი ჟურნალისტი ერიკ ზემური საფრანგეთის 2022 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს.

# უკრაინა – დონბასს, ჩვენ კი აფხაზეთს დავიბრუნებთ?

ხატია იაშვილი 591 98 24 26

***საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელსა და ჟენევის დისკუსიის თანათავმჯდომარეებთან მცოცავი ოკუპაცია, გატაცებები, ადამიანის უფლებების დარღვევა და საოკუპაციო ხაზს მიღმა არსებული ჰუმანიტარული პრობლემები კვლავ ქვეყნის მთავარ გამოწვევად დაასახელა***

*რუსეთის საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით მუშაობის გასაგრძელებლად ყველაზე ოპტიმალურ პლატფორმად კვლავ ჟენევის დისკუსიები რჩება, რომელიც „უზრუნველყოფს მოლაპარაკების ჩარჩოებს სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის ურთიერთობების რეგულირებისთვის“. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ხელშეკრულებების ორი პროექტი გამოაქვეყნა, რომელიც ნატოსა და აშშ-ისგან უსაფრთხოების გარანტიებს ითვალისწინებს.*

*შეთანხმების პროექტის პირველი ტექსტის მიხედვით, რუსეთი ნატოსგან შემდგომი გაფართოებისა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანების გამორიცხვას ითხოვს, ასევე უარის თქმას დამატებითი ძალებისა და შეიარაღების განთავსებაზე იმ ტერიტორიებზე, სადაც ალიანსი 1997 წლის მაისამდე იმყოფებოდა, კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ალიანსში გაწევრიანებამდე.*

*ამასთან, პროექტის ტექსტში აღნიშნულია, რომ ნატომ უარი უნდა თქვას ნებისმიერ სამხედრო საქმიანობაზე უკრაინაში, აღმოსავლეთ ევროპაში, ამიერკავკასიაში, ცენტრალურ აზიაში და არ უნდა განათავსოს საშუალო და მოკლე რადიუსის რაკეტები ისეთ ადგილას, საიდანაც მეორე მხარის ტერიტორიაზე სარაკეტო დარტყმა იქნება შესაძლებელი.*

*ამ საკითხებზე ინტერვიუ ვთხოვეთ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტ* ***ირაკლი გოგავას.***



**- ბატონო ირაკლი, თუ შეიძლება, მიმოვიხილოთ მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები.**

- მოგეხსენებათ, მეორე მსოფლიო ომის შედეგად დამყარებული პოტსდამის წესრიგი შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლით, როდესაც რუსეთმა უარი თქვა სამხედრო ალიანსებზე, ვარშავის პაქტზე და საბჭოთა რესპუბლიკები გამოცხადდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ყველაფერმა ამან შეცვალა გავლენის სფეროები მსოფლიო ლანდშაფტზე და ძალთა ცენტრებს შორის გააჩინა ერთგვარი დაპირისპირება. გასული საუკუნის 90-იან წლებში, ეკონომიკური სისუსტის და გარდამავალი პერიოდის გამო, რუსეთს არ შეეძლო პრეტენზიები გამოეთქვა გავლენის სფეროებში მყოფი ტერიტორიების დაკარგვაზე, მაგრამ დასავლეთის ხელშეწყობით როგორც კი მოძლიერდა, ითხოვს 90-იანი წლების შემდეგ არსებული მდგომარეობის გადახედვას.

**- კონკრეტულად რას ითხოვს?**

- ნატოს გაფართოების 5 ტალღის გადასინჯვას, მით უმეტეს, რომ ამჟამად მეექვსე ტალღაზეა საუბარი, რაც გულისხმობს უკრაინა-საქართველოს შესაძლო გაწევრიანებას. ეს, ცხადია, რუსეთისთვის საგანგაშოა,ვინაიდან მოსკოვიდან ხარკოვამდე 450 კმ-ია, შესაბამისად, დიდი კონფლიქტის შემთხვევაში, საშუალო რადიუსის რაკეტები 7 წუთში მიაღწევს მოსკოვს. ამის გამო რუსეთი ოფიციალურად გამოხატავს შეშფოთებას და კატეგორიული ტონით ითხოვს ახალი შეთანხმების მიღწევას ევროპაში უსაფრთხოების თაობაზე. ამერიკელებს უარი არ უთქვამთ და დაუსხდნენ კიდეც მოსალაპარაკებლად. დღეს მიმდინარეობს ამ თემების განხილვა, რაც უშუალოდ ეხება როგორც უკრაინას, ისე საქართველოს.

**- თქვენი აზრით, ნატო დათმობს უკრაინასა და საქართველოში ბაზების განლაგების შესაძლებლობას?**

- გაფართოებაზე უარის თქმა და ამ ორი სახელმწიფოსთვის კარის ჩაკეტვა ნატოსთვის რეპუტაციული რისკია, რის გამოც მოერიდება მსგავსი განცხადების გაკეთებას, თუმცა არსებობს სხვა კომპრომისული გზები, რომელზეც შესაძლოა, მხარეები წავიდნენ.

**- რა გზებს გულისხმობთ, მაგალითად, რა შემთხვევაში იტყვის უარს უკრაინა?**

- მაგალითად, უკრაინაში სიტუაცია უნდა მოგვარდეს მინსკის შეთანხმების გზით. ამ შემთხვევაში დონბასი მიიღებს სპეციალურ სტატუსს, თავისთავად, მოითხოვს ვეტოს უფლებას უკრაინის გადაწყვეტილებებზე სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში გაწერიანებაზე. ამით აღდგება უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა, დაბრუნდებიან დევნილები უსაფრთხოების გარანტიით, დონბასში ჩატარდება ახალი ადგილობრივი არჩევნები და ესკალაციის ეს ზონა დაუბრუნდება მშვიდობიან ცხოვრებას. ეს ის მოდელია, რომელიც ყველა მხარეს აძლევს იმას, რაც სურს, ყოველ შემთხვევაში, იმ მინიმუმს, რაც ამ ეტაპზე შესაძლებელი. მოგეხსენებათ, პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა, ამიტომ 100%-იანი გამარჯვებული აქედან, ცხადია, ვერავინ გამოვა. შესაბამისად, ნატოს არ მოუწევს ხმამაღლა გამოაცხადოს, რომ არ ფართოვდება, შეინარჩუნებს სახეს, პრეზიდენტი ზელენსკი კი საკუთარ ხალხს მოევლინება იმ პოლიტიკურ ლიდერად, რომელმაც დონბასი დააბრუნა უკრაინის იურისდიქციაში. თავისთავად, რუსეთიც უზრუნველყოფს საკუთარ სამხედრო უსაფრთხოებას უკრაინის მხრიდან, ასევე, უკრაინაში რამდენიმე მილიონი პრორუსულად განწყობილი ამომრჩევლისაც.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი ამ სცენარით განხორციელდება?**

- ეს ლოგიკურია, დაახლოებით ასეთია ჩემი პოლიტიკური მოლოდინი. დღეს უკრაინაზე მიმდინარეობს ორმხრივი ზეწოლა - როგორც ევროპიდან, ისე რუსეთიდან, სთხოვენ, შეასრულოს მინსკის შეთანხმება. უკრაინა ამ ეტაპზე გადაწყვეტილებების მიღებას არ ჩქარობს, თუმცა ვფიქრობ, რუსეთ-უკრაინის უშუალო დიალოგის დროს ეს საკითხი უფრო დაზუსტდება, გამოიკვეთება და, საბოლოოდ, დაახლოებით ამ სქემის რეალიზაციის მოწმე გავხდებით.

**- პოლიტოლოგთა ნაწილი ამბობს, რომ რუსეთს სურს საბჭოეთის აღდგენა, ნაწილი საპირისპიროს ამტკიცებს. თქვენ რას ფიქრობთ?**

- ჩემი აზრით, რუსეთს საბჭოთა კავშირის აღდგენა გეგმაში არ აქვს. იგი მხოლოდ საკუთარი პერიმეტრის უსაფრთხოების უზრუნველყოფას აპირებს, რაც გულისხმობს, რომ მისი მოსაზღვრე ქვეყნები ანუ ყოფილი რესპუბლიკები არ უნდა გაწევრიანდნენ რომელიმე სამხედრო ალიანსში.

**- ჩვენი გადმოსახედიდან სულ სხვაგვარად ჩანს - მათი საზღვრები დაცულია, მაგრამ ჩვენ ვართ საფრთხის ქვეშ.**

- დიახ, ჩვენი და უკრაინის გადმოსახედიდან რუსეთის პოტენციური აგრესია ჩვენთვისაა საშიში. მაგალითისთვის 2008 წლის ომიც გამოდგება, ისევ რომ წაგვართვა ტერიტორიები. ამიტომ აქეთ უნდა მოვითხოვოთ გარანტიები.

**- ამის შესაძლებლობა არსებობს?**

- კი, მე ვხედავ ამის თეორიულ შესაძლებლობებს. თუკი რეალიზდება უკრაინის სცენარი დონბასის დაბრუნებით, ანალოგიური სქემა შეიძლება განხორციელდეს საქართველოშიც, აფხაზეთის კუთხით. ეს გულისხმობს დევნილების დაბრუნებას აფხაზეთში უსაფრთხოების გარანტიებით, აფხაზების და ქართველების საერთო სახელმწიფო სივრცის ჩამოყალიბებას ნეიტრალური სტატუსის ავტომატური მინიჭებით. რუსები, ცხადია, მოითხოვენ ვეტოს უფლებას საქართველოს ნატოში ან სხვა რომელიმე სამხედრო ალიანსში გაწევრიანებაზე.

**- ამაზე ქართველები დათანხმდებიან?**

- სხვათა შორის, ამერიკულმა კარნეგიის ცენტრმა კვლევა უკვე ჩაატარა ამ საკითხზე. საქართველოს მოსახლეობა შემდეგნაირად ფიქრობს: თუკი სასწორზე დაიდება, ერთი მხრივ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და, მეორე მხრივ, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება, მოსახლეობის 78% ირჩევს ტერიტორიების დაბრუნებას, ქვეყნის მთლიანობის აღდგენას. გამოკითხულთა 7% არ არის ჩამოყალიბებული, ხოლო 13% ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მომხრეა. აი, ასეთია საზოგადოების აზრი საქართველოში, რაც, პრინციპში, არც არის გასაკვირი.

**- სიმართლე გითხრათ, საკმაოდ საოცარი პერსპექტივა დაგვისახეთ.**

- ახლა ვაკვირდებით უკრაინაში ამ სცენარის იმპლიმენტაციას, ამიტომ ვერ გამოვრიცხავთ ამ შესაძლებლობას. საერთოდ, მსოფლიოში მიმდინარეობს დეკომპლექტიზაციის პროცესი. ჩვენ ვხედავთ, რომ აშშ-მა ჯარები გაიყვანა სირიიდან, ერაყიდან, ავღანეთიდან, რუსეთმა ყარაბაღის კონფლიქტი თითქოს მოაგვარა და მხარეები ერთმანეთთან საუბრობენ. აგერ, სომხეთი ესაუბრება თურქეთს, რომელსაც ისტორიულ მტრად აღიქვამს და დიპლომატიური ურთიერთობებიც კი არ აქვს. უკრაინაში ძვრებია, მოლდოვა ჩამოყალიბდა როგორც ნეიტრალური სახელმწიფო და ეს კონსტიტუციაში აქვს ჩაწერილი... ამიტომ თავისთავად ჩნდება აზრი, რომ დიდმა მოთამაშეებმა გადაწყვიტეს, ერთბაშად მოაგვარონ გაყინული კონფლიქტები რეგიონების დასამშვიდებლად.

**- სხვა დიდი მოთამაშეები თუ დათმობენ საკუთარ ინტერესებს?**

- ახლა სახელდება პოტენციური თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატი - „სამს+სამი“, „სამს+სამს+სამი“, „შავი ზღვის აუზის ქვეყნების კოოპერაცია“ და ა. შ. რომლებიც არ გამორიცხავენ ერთმანეთს, ნებისმიერ მათგანში საქართველოს აქვს მონაწილეობის საშუალება, მაგრამ მაინც ვფიქრობ, საქართველოსთვის ყველაზე სწორი იქნება, იზრუნოს სამხრეთკავკასიური სამეულის ფორმატის - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი - ჩამოყალიბებაზე. მთავარია, სამივე შეთანხმდეს რეგიონის განვითარების კონცეფციაზე, თუ გნებავთ, შრომის განაწილებაზე, საერთო უსაფრთხოების თუ ეკონომიკურ მიდგომებზე. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება გარე ინტერესების გარკვევაც სამეულის კოლექტიური გადმოსახედიდან. აქ შეიძლება არჩევანი შეჩერდეს „სამს+სამზე“ ან „სამს+სამს+სამზე“ და სხვა. ჩვენ ვხედავთ, რომ აზერბაიჯანი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, საქართველო დეკლარირებულად მიისწრაფვის ნატოსკენ, სომხეთი რუსეთის (ОДКБ)-ს - კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების წევრია. ეს ყველაფერი საკმაოდ დიდ დაქსაქსულობას აჩენს სამხრეთ კავკასიაში და უმჯობესია, ჩვენმა ქვეყნებმა ენერგია ერთმანეთთან კონკურენციაზე, ქიშპობასა და დაპირისპირებაზე კი არ დახარჯონ, საერთო ხედვა ჩამოაყალიბონ, ისეთი, რომელიც სამხრეთ კავკასიას გადააქცევს განვითარებისა და კეთილდღეობის მშვიდობიან ზონად.

**- ეს ყველაფერი ევროკავშირისკენ გზას არ გადაგვიკეტავს?**

- ევროკავშირში შესვლა ჯერ არ დგას დღის წესრიგში. ამ ეტაპზე არც გვთავაზობენ წევრობას. პირიქით, ევროკავშირის პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ჯერ კიდევ შარშან განაცხადა, რომ საქართველო, შესაძლოა, 25 წლის შემდეგ მივიღოთო. მსგავსი ძალიან შორეული პერსპექტივები ჩვენთვის მომხიბვლელი არ არის. მთავარია, ვაწარმოოთ სუვერენული პოლიტიკა და ჩვენს უშუალო მეზობლებთან - აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად ჩამოვყალიბდეთ რეგიონის მომავალთან დაკავშირებით.

**- როგორ შეაფასებთ ყაზახეთის მოვლენებს?**

- ყაზახეთში შიდა ძალაუფლების გადანაწილება დაიწყო. ახალმა პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომართ თოყაევმა შეავიწროვა ნურსულთან ნაზარბაევის დაჯგუფება, საკვანძო თანამდებობებიდან დაითხოვა მისი ხალხი. თავად ნაზარბაევმა კი მოუწოდა მოსახლეობას, მხარი დაეჭირა ახალი პრეზიდენტისთვის, რომელსაც აქვს სრული ძალაუფლება. ახლა მიმდინარეობს ქონებრივი საკითხების გარკვევა, რადგან ოლიგარქების საკმაოდ დიდი წრე წარმოიქმნა ნაზარბაევის მმართველობისას. ამ ეტაპზე თოყაევი ცდილობს, ყაზახეთის განვითარების ფონდის ფინანსები გაზარდოს ყაზახეთის ელიტის მიერ თანხების შეტანით.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ აქ რუსეთი არაფერ შუაშია და მთელი ეს სისხლისღვრა შიდა გარჩევებია?**

- ცხადია, შიდაკლანური დაპირისპირება რუსეთის გარეშე არ დაიწყებოდა, სცენარი შეთანხმებული ექნებოდათ. სწორედ ამიტომ მოახდინა რუსეთმა მყისიერი რეაგირება და გაგზავნა საჯარისო ნაწილები სიტუაციის სტაბილიზაციისთვის.

**- მოდით, ისევ საქართველოს დავუბრუნდეთ. გვირჩევთ, ევროკავშირში შესვლის შორეულ პერსპექტივაზე აღარ ვიოცნებოთ და მეზობლებს მივხედოთ?**

- რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე სამეულის შეთანხმება არის უმნიშვნელოვანესი, შემდეგ კი სხვა, უშუალო მეზობლებთან დისპოზიცია. ვიცით, რომ ეკონომიკური სატრანზიტო გზების ნაწილი დაბლოკილია. მაგალითად, არ მუშაობს აფხაზეთის რკინიგზა, გადაკეტილია სომხეთ-აზერბაიჯანის კომუნიკაცია, მაგრამ არის ძვრებიც - გაჩნდა დიდი ინტერესი, რომ ინდოეთის, ირანის, პაკისტანის ტვირთები წამოვიდეს საქართველოზე, შავ ზღვაზე, რაც გაზრდის ბათუმისა და ფოთის პორტების ტვირთბრუნვას, რომლებიც დღეს სანახევროდაც არ არის დატვირთული. ეს პროცესი გააჩენს ახალ სამუშაო ადგილებს. მაგალითისთვის: ინდოეთის და ევროკავშირის ვაჭრობა დღეს შეადგენს 62 მილიარდს, რაც ნიშნავს, რომ 60 მილიონი ტვირთი მიდის ორივე მიმართულებით. ამ ტვირთის 10%-ის წამოღებაც კი საქართველოსთვის უდიდესი შემოსავალია - ერთი ტონის გატარება 10-20 აშშ დოლარი ჯდება, ტვირთის სახეობას გააჩნია. ეს პროცესი თუ შედგა, იგივე აფხაზეთის რკინიგზის ამუშავება ჩვენ შორის პოლიტიკურ ურთიერთობებს გააუმჯობესებს. როგორც ქართველები, ისე აფხაზები მიხვდნენ, რომ ამ კონფლიქტებს კარგი არაფერი მოაქვს, რომ ცუდი მშვიდობა ჯობია კარგ ომს. რაც შეეხება საქართველოს პოზიციონირებას, ვფიქრობ, აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთად უნდა შევძლოთ საკითხის ისე დაყენება, რომ ჩვენი ტერიტორიებიდან საფრთხე არავის ემუქრებოდეს. შესაბამისად, თავადაც ვიქნებით დაცული ჩვენი ერების ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

> ***„საქართველოსთვის ყველაზე სწორი იქნება, იზრუნოს სამხრეთკავკასიური სამეულის ფორმატის - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი - ჩამოყალიბებაზე. მთავარია, სამივე შეთანხმდეს რეგიონის განვითარების კონცეფციაზე, თუ გნებავთ, შრომის განაწილებაზე, საერთო უსაფრთხოების თუ ეკონომიკურ მიდგომებზე***

## ევროკავშირი განცხადებას ავრცელებს...

ევროკავშირი ადასტურებს ურყევ მხარდაჭერას უკრაინის და აღმოსავლეთ სამეზობლოს სხვა პარტნიორების დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მათ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და მოუწოდებს რუსეთს, ხელახლა ჩაერთოს არსებულ საერთაშორისო ჩარჩოებში კონფლიქტების მდგრადი და მშვიდობიანი მოგვარებისთვის, - აღნიშნულია ევროპული საბჭოს განცხადებაში.

„საბჭო გმობს რუსეთის მუდმივ აგრესიულ ქმედებებსა და მუქარებს უკრაინის წინააღმდეგ და მას დეესკალაციისკენ და დადგენილი საერთაშორისო მექანიზმების მეშვეობით, საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვით, დიალოგში კონსტრუქციულად ჩართვისკენ მოუწოდებს. რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ნებისმიერ შემდგომ სამხედრო აგრესიას უზარმაზარი შედეგები და მძიმე ფასი ექნება“, - ნათქვამია განცხადებაში.

# ტარიელ ქათამაძე: პარტია „საქართველოსთვის" პოლიტიკური ოპონენტების სავაჭრო საგნად იქცა

ხატია იაშვილი 27 48 93



*გიორგი გახარიას პარტიის „საქართველოსთვის" აჭარის ორგანიზაცია 25 დამფუძნებლიდან 14-მა დატოვა. მიზეზად ორგანიზაციის ხელმძღვანელის ირაკლი მიქელაძის პოლიტიკური კურსის მიუღებლობა დაასახელეს და აღნიშნეს, რომ ისინი მის „პრონაციონალურ პოლიტიკას კატეგორიულად ემიჯნებიან".*

*„პარტიას „საქართველოსთვის" თავის დროზე იმიტომ შევუერთდით, რომ ერთადერთ ოპოზიციურ ძალად ჩავთვალეთ, რომელსაც, ერთი მხრივ, რეალურად შეეძლო ებრძოლა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი საზოგადოების კეთილდღეობისთვის. აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოლიტიკური კურსი ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელი და გაუგებარია, რადგან ირაკლი მიქელაძე გადაწყვეტილებებს ღებულობს განხილვის გარეშე, ერთპიროვნულად. ყველა, ვინც კი გუნდის შიგნით მიქელაძისაგან განსხვავებულ პოზიციას აჟღერებდა, ამ უკანასკნელის მხრიდან დისკრიმინაციის მსხვერპლი ხდებოდა. რთული წინასაარჩევნო მარათონიდან გამომდინარე, არ გვინდოდა განხეთქილება შეგვეტანა პარტიაში და დუმილს ვამჯობინებდით, თუმცა ყოველივე ამან პროცესები კიდევ უფრო გააუარესა. საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არ გვსურს მუშაობა განვაგრძოთ ადამიანთან ერთად, რომელიც სპობს განსხვავებულ აზრს, შიდაპარტიულ დემოკრატიას ღიად ემუქრება და პარტიას მართავს არა ამომრჩეველთა ნების სასიკეთოდ, არამედ, პირადი მოტივებითა და ანგარების მიღების მიზნით. ამიტომ, კატეგორიულად ვემიჯნებით ირაკლი მიქელაძის პრონაციონალურ პოლიტიკას და ვტოვებთ პარტიას", - აცხადებენ პარტიიდან წასულები.*

*პრესკონფერენციის მიღმა დარჩენილ საკითხებზე და პრეტენზიებზე საუბრობს პარტიის „საქართველოსთვის" აჭარის ორგანიზაციის ყოფილი დამფუძნებელი* ***ტარიელ ქათამაძე****. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.*

**- ტარიელ, რით მიგიზიდათ ყოფილი პრემიერის ახალდაფუძნებულმა პარტიამ, რატომ ჩათვალეთ, რომ ხელისუფლებიდან წამოსული ჩინოვნიკი ძლიერ პარტიას ჩამოაყალიბებდა და წამყვანი პოლიტიკური ლიდერი გახდებოდა?**

- როდესაც დაფუძნდა პარტია „საქართველოსთვის", გასული წლის 29 მაისს ბათუმიდან ჩავედი ჩემს ახალგაზრდა გუნდთან ერთად, რათა მონაწილეობა მიგვეღო ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებაში. როგორც მაშინ მოგვეჩვენა, ეს იყო გონიერი ადამიანებისგან შემდგარი, არსებული პოლიტიკური ძალებისგან აბსოლუტურად განსხვავებული პარტია, რომელიც შეძლებდა, გაგვეყვანეთ საქართველოსთვის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის რეალურ გზებზე. სულ 25 ადამიანი ჩავედით თბილისში. განსაკუთრებით მოგვეწონა გიორგი გახარიას სლოგანი, რომელიც პარტიის პრეზენტაციაზე გააჟღერა: „ვერთიანდებით საქართველოსთვის, მაგრამ არავის წინააღმდეგ". ეს სწორედ ის პოზიცია იყო, რასაც ვეძებდით ერთმანეთის აუგით სავსე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში.

**- მანამდე იყავით რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი?**

- არა, არსად გავერთიანებულვარ ოფიციალურად.

**- ამ ლოზუნგის გარდა, კიდევ რა მოგეწონათ პარტიის ლიდერში?**

- მისი საქმიანი თვისებები, ლავირების უნარი, სახელმწიფოს მართვის სტილი. მას მოიხსენიებდნენ, როგორც მაღალი კლასის კრიზისმენეჯერს, რაც პანდემიის მართვითაც დაამტკიცა, შეეძლო ქვეყნის რეალური რეანიმაცია. არ ვმალავ, რომ მომწონდა გიორგი გახარია მისი პრემიერობის დროს და მიმაჩნდა ქვეყნის საუკეთესო მეთაურად. ეს არ იყო მხოლოდ ჩემი პირადი დამოკიდებულება, ბევრი მეთანხმებოდა და იგივეს ამბობდა. როდესაც ასეთი პიროვნება ტოვებს პოსტს, აცხადებს, რომ შექმნის პოლიტიკურ პარტიას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობისკენ იქნება მიმართული და არ გაეხვევა ბინძურ პოლიტიკურ დაპირისპირებებში, ცხადია, სიახლის იმედი გიჩნდება და გსურს მიიღო მონაწილეობა სუფთა პოლიტიკურ პროცესებში.

**- თქვენ დამფუძნებელი იყავით, ირაკლი მიქელაძე გამოირჩეოდა პარტიის პრეზენტაციაზე თუ რატომ აირჩიეს აჭარის ორგანიზაციის ლიდერად?**

- არა, მაშინ ირაკლი მიქელაძე იქ არც ყოფილა. ვფიქრობ, საერთოდ არ იცოდა ამ პარტიის დაფუძნების შესახებ. შემდეგ მოვიდა და მაშინვე დაინიშნა პარტიული კუთხით აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

**- წინასაარჩევნო კამპანია ერთად ჩაატარეთ?**

- რა თქმა უნდა, ერთად ვმუშაობდით. მოვიწვიეთ ახალი წევრები, დავდიოდით მუნიციპალიტეტებში, მივმართავდით მოსახლეობას, ვაწვდიდით ინფორმაციას პარტიის და მისი ლიდერის შესახებ, რომელსაც ისედაც კარგად იცნობდნენ. ამ ურთიერთობებით და შეხვედრებით მივიღეთ ახალდაფუძნებული პარტიისთვის მართლაც უპრეცედენტო შედეგები.

**- თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებით სწორედ ის „ოქროს შუალედი" დაიკავეთ, რომელზეც დამოკიდებული დარჩა პოზიცია-ოპოზიციის და უმრავლესობის ბედი.**

- დიახ, არა მხოლოდ ბათუმში, რიგ მუნიციპალიტეტებშიც შეიქმნა ანალოგიური სიტუაცია, რომელიც უნდა გადაწყვეტილიყო ჩვენი - აჭარის ორგანიზაციის დამფუძნებლების უშუალო ჩარევით. ეს ლოგიკურია და არც გვიფიქრია, რომ ის შეხვედრები, ჩვენ გარეშე რომ აწარმოებდა ჩვენივე ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გაემიჯნებოდა ჩვენივე პარტიულ ხაზს.

**- თქვენ გარეშე რატომ მიდიოდა, საერთოდ თუ იცოდით ამ შეხვედრების შესახებ?**

- ვიცოდით, როგორ არა და არც ვიყავით წინააღმდეგი, ათი და ოცი კაცი ხომ არ წახვალ ასეთ დროს, ორიც საკმარისია. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ირაკლი მიქელაძე აჟღერებდა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს და არ მიაჩნდა საჭიროდ ჩვენი პოზიციის გაგებაც კი, არათუ ჩვენთან შეთანხმება და კონსულტაციები.

**- თქვენ როგორ გაიგეთ, იქ რას ამბობდა?**

- მასმედიაში გაკეთებულ განცხადებებში, დიალოგებსა თუ ინტერვიუებში იკვეთებოდა ის სქემა, რომელსაც თავად აწყობდა და თავად აჟღერებდა ოპონენტებთან შეხვედრებისას. თავიდან ვერც მივხვდით, რას შვრებოდა, ნდობით ვეკიდებოდით, მაგრამ ბოლოს დავინახეთ, რომ პრაქტიკულად ჩიხისკენ მიდიოდა მთელი ეს პროცესი და ორგანიზაციის ხელმძღვანელი საერთო პარტიულს კი არა, სათავისო ინტერესებს ათანხმებდა და აჟღერებდა. როგორც დავასკვენით, პარტია „საქართველოსთვის" პოლიტიკური ოპონენტების სავაჭრო საგნად იქცა. ამ სიტუაციას არაერთგვაროვნად აფასებდნენ ჩვენი ახალგაზრდა თანაპარტიელები. მათგან ბევრი ჩემი სტუდენტიც იყო, ეს ადამიანები სულ სხვას ელოდნენ ახალი პოლიტიკური ძალისგან და მიიღეს ის, რის გამოც არ მოსწონდათ არც პოზიცია და არც ოპოზიცია.

> ***„მასმედიაში გაკეთებულ განცხადებებში, დიალოგებსა თუ ინტერვიუებში იკვეთებოდა ის სქემა, რომელსაც თავად აწყობდა და თავად აჟღერებდა ოპონენტებთან შეხვედრებისას. თავიდან ვერც მივხვდით, რას შვრებოდა, ნდობით ვეკიდებოდით, მაგრამ ბოლოს დავინახეთ, რომ პრაქტიკულად ჩიხისკენ მიდიოდა მთელი ეს პროცესი და ორგანიზაციის ხელმძღვანელი საერთო პარტიულს კი არა, სათავისო ინტერესებს ათანხმებდა და აჟღერებდა***

**- თქვენ ირაკლი მიქელაძის შეხვედრებზე გაჟღერებული წინადადებები არ მოგეწონათ თუ...**

- იცით რა, ჩვენ არ მოგვეწონა ის სრული იგნორირება, რომელსაც გვიწევდა ხელმძღვანელი. არაფერს ვითხოვდით, შეეთანხმებინა მაინც, რის თქმას და გაკეთებასაც აპირებდა. ირღვეოდა შიდაპარტიული დისციპლინაც და ურთიერთობაც, რომელიც ნდობაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

**- პარტიის ცენტრალურ აპარატს არ შეეხმიანეთ?**

- როგორ არა, ცენტრს ზეპირად მივაწოდეთ ინფორმაცია რეგიონში არსებული კრიზისის შესახებ. თუმცა ძალიან გაგვაკვირვეს იმით, რომ არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია მათი მხრიდან ამას, იგნორირება გაგვიკეთეს. ამის შემდეგ თავი ვალდებულად ჩავთვალეთ ჩვენივე ამომრჩევლის წინაშე, სიმართლე გვეთქვა. ამ ხალხმა მოგვცა ხმა და მოგვენდო. გამოდიოდა, რომ ვერ შევასრულეთ წინასაარჩევნო დანაპირები. აქედან გამომდინარე, სხვა გზა აღარ დაგვრჩა იმის გარდა, რომ ოფიციალურად გაგვეცხადებინა, რატომ დავტოვეთ დამფუძნებლებმა პარტია და წავედით ამ პოლიტიკური ორგანიზაციიდან.

**- როგორც ცნობილია, ბათუმის საკრებულოში თქვენი პარტიის სამი წევრი მოხვდა...**

- დიახ, აქედან ერთმა, ირაკლი თავდგირიძემ, სწორედ ამდაგვარი კონფილიქტის გამო, ნეიტრალიტეტი და დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსი აირჩია. ის არც ოპოზიციის მხარეს იჭერს და არც პოზიციის. დარჩენილი აკაკი გვიანიძე და ნინო ბაციაშვილი ე.წ. ოქროს შუალედს წარმოადგენენ დღევანდელ საკრებულოში. ეს ორი, ირაკლი მიქელაძის კანდიდატურა იყო.

**- ტარიელ, თქვენი, როგორც ჟურნალისტის აზრით, ვისი სატელიტია გახარიას პარტია, როგორც იცით, ამაზე არაერთი მოსაზრება გაჟღერდა. პოზიცია ოპოზიციას აბრალებს, ის - პირიქით.**

- ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ერთი კითხვა მიჩნდება: თუკი აცხადებ, არც იქით მხარეს ვარ და არც აქეთო, მაშინ რატომ იბარებ ამ მხარეებს ცალ-ცალკე მოსალაპარაკებლად, საერთოდ, რა გაქვს მათთან სალაპარაკო? ეს ყველაფერი ეჭვს ბადებს, რა გაქვს გადასანაწილებელი, თანამდებობები თუ ეკონომიკური მხარე, რას ხდი ვაჭრობის საგნად? იმდენად მალავდნენ ყველაფერს, რომ თავისთავად ვეძებდით პასუხს, როდესაც ვერ მივიღეთ, გადავწყვიტეთ გამოვსულიყავით, რათა არ შეგვეშალა პირი ჩვენი მომხრეებისა და ამომრჩევლებისთვის. ისიც სათქმელია, რომ საკრებულოს მუშაობა პარალიზებულია, სხდომა ხომ უნდა ჩატარდეს და გადაწყდეს ქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები. იანვარი მთავრდება და ოქტომბერში არჩეული საკრებულო არ დაიძრა მკვდარი წერტილიდან. სანამდე უნდა ვიყოთ ამ მდგომარეობაში?

**- თავად გახარიამ როგორ შეაფასა თქვენი გასვლა პარტიიდან?**

- აკეთებენ განცხადებებს, მოისყიდესო, აბა რას იტყვიან, საკუთარ შეცდომებს და იგნორირების ფაქტს ხომ არ გამოფენენ ქვეყნის წინაშე? არადა, ჩვენ დავუპირისპირდით აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელიც არ გვაყენებდა საქმის კურსში და ერთპიროვნულად აფიქსირებდა საკუთარ აზრს. ჩვენ გამოვედით იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს, უნდა დაიწყოს ფუნქციონირება ბათუმის საკრებულომ. ის, რომ ირაკლი მიქელაძე ამას არ ახორციელებს, ყველა მხრივ ეწინააღმდეგება პროცესს, ადასტურებს, რომ ვაჭრობის საგნად ხდის პოლიტიკურ ორგანიზაციას და ელოდება რომელიმე მხარისგან რეალურ შეპირებას. ბევრი ეჭვი გვაქვს, მაგრამ ჯერ არ ვასაჯაროვებთ, უმჯობესია, თავად გასცენ პასუხი საკუთარ ამომრჩევლებს და თანაპარტიელებს, თუ რატომ გავიდა ამდენი დამფუძნებელი საკმაოდ წარმატებული პოლიტიკური გაერთიანებიდან.

**ამ საკითხზე ინტერვიუ ვთხოვეთ პარტია „საქართველოსთვის" აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ირაკლი მიქელაძეს.**

**- ირაკლი, პარტია „საქართველოსთვის" აჭარის ორგანიზაციის 25 დამფუძნებლიდან 14-მა პარტია დატოვა, როგორ ხსნით ასეთ რადიკალურ გადაწყვეტილებას?**



- საკმაოდ მარტივად, აქ არაფერია თავსატეხი. „ქართული ოცნების" ხელწერა არ იცვლება, კარგად ჩანს, რომ აგრძელებს ჩვენი პოლიტიკური გაერთიანების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას და ყველა ხერხით ცდილობს, გადაიბიროს პარტიის წევრებიც და დამფუძნებლებიც. სხვა ახსნა ამ პროცესს არ მოეძებნება. ბევრი ადამიანი ვერ უძლებს იმ ზეწოლას, რასაც მმართველი გუნდი მათზე ახორციელებს, ექცევა მათი გავლენის ქვეშ. ზოგს ისყიდიან, ზოგს აშინებენ, ზოგს არწმუნებენ და ა.შ. ანუ მინდა ვთქვა, რომ ეს ის ხალხია, ვინც ვერ გადალახა „ქართული ოცნების" მიერ შექმნილი ხელოვნური ბარიერები. ამ პროცესის ლოგიკური დასასრული იყო ის ბრიფინგი, რომელიც ჩვენმა ყოფილმა დამფუძნებლებმა მოიწვიეს.

> ***„აქ არაფერია თავსატეხი. „ქართული ოცნების" ხელწერა არ იცვლება, კარგად ჩანს, რომ აგრძელებს ჩვენი პოლიტიკური გაერთიანების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას და ყველა ხერხით ცდილობს, გადაიბიროს პარტიის წევრებიც და დამფუძნებლებიც***

**- თუკი ასე მარტივად აიხსნება ეს ყველაფერი, ცხადია, რომ მმართველი გუნდი გააგრძელებს იგივე პროცესს და მალე აღარავინ დაგრჩებათ პარტიაში. რას აპირებთ?**

- ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, არ დავთმობთ მიღწევებს და ყველა ღონეს ვიხმართ პარტიის გაძლიერებისა და განვითარებისთვის. აქვე ვაცხადებ, დღეს, ქართულ სინამდვილეში, ჩვენ ვართ ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელმაც ზუსტად იცის, რა პრობლემები აქვს ჩვენს ქვეყანას, სად უნდა ვეძებოთ მისი გადაჭრის გზები და როგორ მოვაგვაროთ სახელმწიფოებრივი საკითხები.

იხ. მე-7 გვ.

# როგორი პოზიცია უნდა ჰქონდეს საქართველოს უკრაინაში მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით?

ანანო ტაბიძე 27 48 93

*დღეს მსოფლიოში აქტუალური ჩვენი მეგობარი ქვეყნის - უკრაინის ბედია, რადგან რუსეთი რეგიონში სამხედრო მოქმედებების განხორციელებას გეგმავს. მზარდი საფრთხის გამო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკრაინაში აშშ-ის საელჩოს თანამშრომლების ოჯახების წევრებისთვის ქვეყნის დატოვების განკარგულება გასცა*

გავრცელებული ინფორმაციით, შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ასევე გასცა ნებართვა, საელჩოს თანამშრომლების ნაწილმა უკრაინა დატოვოს და მოუწოდა უკრაინაში მყოფ აშშ-ის მოქალაქეებს, განიხილონ ქვეყნის დატოვების შესაძლებლობა. სახელმწიფო დეპარტამენტი ასევე აფრთხილებს მოქალაქეებს, რომ არ გაემგზავრონ უკრაინასა და რუსეთში არსებული დაძაბულობისა და აშშ-ის მოქალაქეების შევიწროების საფრთხის გამო. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი აცხადებს, რომ არ ვარაუდობს, პუტინი უკრაინას ოლიმპიადის დროს დაესხას თავს, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში მოხდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადებით, თუ ერთი დამატებითი რუსული ძალაც კი უკრაინაში აგრესიული გზით შევა, ეს გამოიწვევს სწრაფ, მკაცრ და ერთიან პასუხს ვაშინგტონისა და ევროპისგან. მისივე თქმით, აშშ და ევროპა ყველა სახის სცენარს განიხილავს და მასზე რეაგირებისთვის ემზადება.

ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი ირწმუნება, რომ პუტინს სურს ბევრად მეტი, ვიდრე უკრაინა და საქართველოა.

- ბელარუსი, მოლდოვა, სომხეთი... მას თავისი იმპერიის დაბრუნება უნდა, - განაცხადა სხეფერმა, რომლის ხელმძღვანელობის დროს, 2008 წელს, ნატომ განაცხადა, რომ უკრაინა და საქართველო გახდებიან ალიანსის წევრები. აღნიშნა, რომ პუტინის მოთხოვნა დაპირების გაუქმებასთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტის „რევანშისტული ჯვაროსნული ლაშქრობის" ცრუ საბაბი იყო.

- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნატო ერთიანია და ბზარი არ გასჩენია. ნატომ კატეგორიულად უარყო რუსეთის ყველა სულელური მოთხოვნა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ ელოდება წერილობით პასუხს აშშ-დან. პასუხი ერთ ფურცელზე დაეტევა. ამ ფურცელზე უნდა ეწეროს - გაიყვანეთ სამხედრო ძალები საქართველოდან, უკრაინიდან, დნესტრისპირეთიდან და შემდეგ შეგვიძლია, კლიმატის ცვლილებებზე ვისაუბროთ. სულ ეს არის, - ამბობს ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ძალების ყოფილი მეთაური ბენ ჰოჯესი. მან ასევე განაცხადა, რომ რუსეთის შეჭრა უკრაინაში სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოსაა მოსალოდნელი. ჰოჯესის თქმით, რუსეთის პრეზიდენტი რისკის უმაღლეს ზღვარზე მოქმედებს.

- პესიმისტურად ვარ განწყობილი. ველოდები რუსეთის ახალ იერიშს, რომელიც პეკინში დაგეგმილი ზამთრის ოლიმპიური თამაშების დასრულებისთანავე დაიწყება. ეს ალბათ იქნება შეზღუდული ამოცანების შესრულებაზე გათვლილი თავდასხმების სერია და არა ერთი დიდი მასშტაბური შეტევა. ასეთი წინათგრძნობა მაქვს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ახლა რისკის უმაღლეს ზღვარზე მოქმედებს. პუტინი ზედმეტად თავდაჯერებულიც კია, რადგან 2008 წლის შემდეგ აგრძელებს საქართველოს ნაწილების ოკუპაციას, რუსეთი რჩება დნესტრისპირეთში, მხარს უჭერს ასადის რეჟიმს ძალაუფლების შენარჩუნებაში და კვლავაც ოკუპირებული აქვს ყირიმი, დონბასი და ამ ყველაფრის გამო სათანადო სასჯელი არ მიუღია, რაც ქცევას შეაცვლევინებდა. კრემლის ამოცანაა, უკრაინა ვერასდროს გახდეს დასავლეთის შემადგენელი ნაწილი... და არა მხოლოდ უკრაინა, ასევე ბელარუსი, ყაზახეთი, საქართველო, - აცხადებს ამერიკელი გენერალი.

მისივე თქმით, ისურვებდა, აშშ-მა და, ზოგადად, დასავლეთმა შავი ზღვის რეგიონის განვითარების სტრატეგიული და ყოვლისმომცველი გეგმა შეიმუშაოს.

საქართველოს ვიცეპრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი



აცხადებს, რომ საქართველო უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ სოლიდარულია.

- ნებისმიერი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საფრთხის წინაშე დაყენება სრულიად მიუღებელია. საქართველო სოლიდარულია უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ. ჩვენ ვდგავართ უკრაინის გვერდით, - დაწერა დავით ზალკალიანმა „ტვიტერის" პირად გვერდზე.

საპარლამენტო ოპოზიცია მმართველ გუნდს მიმართავს, პარლამენტმა უკრაინის მხარდამჭერი ერთობლივი საპარლამენტო რეზოლუცია მიიღოს. გარდა ამისა, საპარლამენტო ოპოზიციის ინიციატივაა, საქართველო-უკრაინის მეგობართა ჯგუფის გააქტიურება და უახლოეს დღეებში ერთობლივი მხარდაჭერის დემონსტრირების მიზნით, კიევში საპარლამენტო უმრავლესობის და ოპოზიციის ერთობლივი ვიზიტის ორგანიზება. ამასთან, საპარლამენტო ოპოზიციის თქმით, საჭიროა მიმდინარე კვირას საქართველოს პარლამენტში საკომიტეტო ფორმატში საგარეო საქმეთა მინისტრთან და თავდაცვის მინისტრთან შეხვედრა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების განხილვის მიზნით.

- მოვუწოდებთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, მოიწვიოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გაფართოებული სხდომა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის განახლებული აგრესიის ფონზე საქართველოსა და რეგიონისთვის გამოწვეულ შესაძლო საფრთხეებზე სამსჯელოდ და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავების მიზნით. საქართველოს პარლამენტში ასევე ინიცირებულია საქართველოს ნატოში გაწევრიანების მხარდამჭერი რეზოლუცია. პარლამენტმა უახლოეს საპარლამენტო სესიაზე უნდა განიხილოს და მიიღოს ერთობლივი რეზოლუცია აღნიშნულ საკითხზე. მივმართავთ პარლამენტის თავმჯდომარეს, საგარეო საქმეთა და თავდაცვის და უშიშროების კომიტეტების თავმჯდომარეებს, დაუყოვნებლივ დაიწყონ კონსულტაციები ამ საკითხების განსახილველად, - ასეთია საპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნა.

აღნიშნული ინიციატივით „ლელოს", „სტრატეგია აღმაშენებლის" და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო ჯგუფი გამოდის.

მეზობელი ქვეყნის მიმართ ხელისუფლების პოზიციას იწუნებს „ლელო საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი მამუკა ხაზარაძე და აცხადებს, რომ „ქართული ოცნება", სამწუხაროდ, ჩამოყალიბდა რუსული ინტერესების გამტარებელ პოლიტიკურ ძალად საქართველოში, შესაბამისად, ის პოლიტიკა, რომელიც მათ აქვთ ახლა უკრაინასთან მიმართებით, არ შედის საქართველოს სახელმწიფო ინტერესებში. მისივე თქმით, საქართველოს დელეგაცია უნდა იყოს წარმოდგენილი უკრაინაში და იქ, სადაც ევროპარლამენტარებისა და ამერიკელების დელეგაციები არიან, ამის ნაცვლად კი საქართველოს პარლამენტის სპიკერი, ხაზარაძის განცხადებით, ვერ იცლის ევროპარლამენტარებთან შესახვედრად.

როგორც „ლელოს" ლიდერმა აღნიშნა, რეგიონში არსებული ვითარების ფონზე, საქართველოს სირაქლემის პოზიცია უკავია და დაკარგული აქვს სახელმწიფოებრივი ღირსების განცდა.

- დავით ზალკალიანის განცხადება კარგია, რომ გაკეთდა, თუმცა ეს არის ძალიან მცირე და არ გამოხატავს მთლიანად პოლიტიკური სპექტრის, ამ შემთხვევაში „ქართული ოცნების" ძალიან მკაფიო პოზიციას. უკრაინა არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და ჩვენც ზუსტად ისეთ დღეში ვართ, როგორშიც უკრაინა. უბრალოდ, დღეს არის უკრაინაში გამძაფრებული სიტუაცია, რამდენიმე წლის წინათ ჩვენთან ხდებოდა ანალოგიური, ამიტომ ძალიან მკაფიო პოზიცია უნდა დავაფიქსიროთ ყოველთვის, როცა ასეთი რამ ხდება რეგიონში და არანაირად არ ვემხრობი იმას, რომ შერბილებული პოზიცია უნდა გვქონდეს იმიტომ, რომ ამით შეიძლება რუსეთი გაღიზიანდეს. ეს არ არის სწორი პოზიცია. ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი არის ოკუპირებული, ჩვენ გვაქვს გაცხადებული ქართველი ერის ინტერესი, რომ უნდა გავერთიანდეთ ნატოსა და ევროკავშირში, შესაბამისად, ამ კურსს არ უნდა გადავუხვიოთ, - განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

მისი თქმით, იმის გამო, რომ უკრაინაში საქართველოდან დელეგაცია არ წასულა და პარლამენტს არც მხარდამჭერი რეზოლუცია მიუღია, ფრაქცია და პარტია „ლელომ" მხარდამჭერი წერილი გაუგზავნა როგორც უკრაინის პრეზიდენტს, ასევე რადას სპიკერს.

- ჩვენი დელეგაცია იქ უნდა იყოს სადემონსტრაციოდ ჩასული, უნდა ჩამოართვას ხელი, უნდა უთხრას, რომ გვერდით უდგას თავისუფალ სამყაროსთან ერთად, უნდა აჩვენოს, რომ აგრესია არის წარსული, აგრესია და ტერიტორიების გაფართოება, იმპერიისა და საბჭოთა კავშირის აღდგენა ჩაბარებულია წარსულს, ამას პერსპექტივა არ აქვს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ პატარა ქვეყანა ვართ და ასეთ რამეში მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ, ეს უკვე ღირსებისა და ქვეყნის მომავალი პოზიციონირებისა და თავისუფლების საკითხია. „ქართული ოცნების" პერიოდში დავკარგეთ სახელმწიფოებრივი ღირსება, გვეშინია პოზიციის დაფიქსირების. ეს არის სირაქლემის პოზიცია. დღეს საქართველოს ხმა არ ისმის და როცა უკრაინაზეა საუბარი, იქ ყოველთვის უნდა იყოს საქართველოს ხსენება ყველა დელეგაციაში. ჩვენ უპოზიციო ქვეყნად ჩამოვყალიბდით, - განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

რატომ არ იღებს პარლამენტი ამ დრომდე უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას?

- როცა იქნება, შეიკრიბება უმრავლესობა, პარლამენტი და მიიღებს უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას. ნუ ვუსწრებთ მოვლენებს - ჩემი თხოვნა იქნება, გაითვალისწინოთ სახელმწიფო ინტერესები, ჩვენ გვქონდა 2008 წელი და გვახსოვს მხდალი მთავარსარდალი, რომელმაც მიატოვა ჯარი, გამორბოდა და გორის მიწას ცხვირით ხნავდა, - ასე უპასუხა კითხვას უმრავლესობის წევრმა ირაკლი ზარქუამ.

ის აღნიშნავს, რომ საქართველო უკრაინას მხარს უჭერს და ამასთან დაკავშირებით მკაფიო განაცხადიც უნდა გაკეთდეს.

- მკაფიო განაცხადი უნდა გავაკეთოთ უკრაინასთან მიმართებით, რაც არაერთხელ გაკეთებულა, დღესაც ვაპირებთ. მხარს ვუჭერთ უკრაინას, ჩვენს ძმებს, ჩვენს პარტნიორებს და არავის აქვს უფლება, შეულახოს სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა. მოვუწოდებდი საერთაშორისო თანამეგობრობას, მეტი შემართებით, მეტად დაიცვან ჩვენისთანა ქვეყნების ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე. მიუღებელია ოკუპაცია და ვგმობთ. ყველა სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რომ თუ დაარღვევს მეორე ქვეყნის ტერიტორიას, მის სუვერენიტეტს, იქნება მკაცრად დასჯილი საერთაშორისო თანამეგობრობისგან. რადიკალურ ოპოზიციას შეუძლია და აქვს ფანტაზიები, რომ ხან ის გადაკეტოს, ხან ეს... ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელიც უფრთხილდება სახელმწიფო ინტერესებს, პარტნიორების ინტერესებს, - განაცხადა ზარქუამ.

მართალია, უკრაინის მიმართ ოპოზიცია ერთიანია, მაგრამ „სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერ გიორგი ვაშაძის თქმით, დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დიდ ოპოზიციურ გაერთიანებას პერსპექტივა აღარ აქვს. მისივე თქმით, „კოორდინირებულ ოპოზიციას შთანთქავს „ნაციონალური მოძრაობა" და ხელისუფლება ასე არ იცვლება".

- მას აქვს თავისი ტელევიზია, თავისი გზავნილები შეუძლია ჰქონდეს, აკონტროლებს ამ მესიჯებს. ჩვენ რომ განსხვავებული გზავნილი გვინდა, ეს ვერ მიგვაქვს ტელევიზიებით, რომელთაც სარედაქციო პოლიტიკა პირდაპირ სინქრონში აქვთ „ნაციონალურ მოძრაობასთან", ამასაც პირდაპირ ვიტყვი, - აცხადებს გიორგი ვაშაძე. გიორგი ვაშაძის თქმით, ოპოზიციაში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ლანძღვაგინების მეტს არაფერს აკეთებენ და მათთან პარტნიორობას არ გეგმავს.

- ზოგიერთი პოლიტიკოსის ფუნქციაა თითქოს, რომ ილანძღოს, დააბრალოს ათასი რამ სხვას, რაც ასევე მომისმენია ჩემზე და ჩვენს პოლიტიკურ ძალაზე. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება თავის პასუხს გასცემს ყველა იმ პოლიტიკოსს, რომელიც გამოირჩევა აღვირახსნილი გამონათქვამებით, სიცარიელით, გაუნათლებლობით, არაპროფესიონალიზმით. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც შუბლის ძარღვი არ აქვთ. მათთან, ვინც შუბლძარღვგაწყვეტილია და ლანძღვა-გინების მეტს არაფერს აკეთებს, ცხოვრებაში არ ვაპირებ არანაირ პოლიტიკურ პარტნიორობას, - განაცხადა გიორგი ვაშაძემ. ის ასევე აღნიშნავს, რომ არ ენდობა „ნაციონალურ მოძრაობას".

- შეთანხმების კუთხით, მათ მიმართ ნდობა არ მაქვს, ნულოვანი მაქვს. რამდენჯერმე „გადაგდებული" ვარ და გიჟი ხომ არ ვარ, კიდევ მივიდე და კიდევ „გადამაგდონ", - აცხადებს გიორგი ვაშაძე და დასძენს, - „ნაციონალურ მოძრაობას" 2018 წელს, როდესაც გაერთიანებული ოპოზიცია ჩამოყალიბდა, წესები და პირობები სამართლიანად რომ დაეცვა და შეთანხმების შესაბამისად ემოქმედა ყველა მის პარტნიორთან მიმართებით, დღეს ოპოზიცია იქნებოდა ხელისუფლებაში.

„სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერ გიორგი ვაშაძის განცხადებას „გირჩი" გამოეხმაურა.

- ჩვენ, ზოგადად, კოალიციის მიმართ კრიტიკულად ვართ განწყობილნი. შეიძლება, ვითანამშრომლოთ პარტიებთან, „ნაციონალურ მოძრაობასთან", „ქართულ ოცნებასთან", „სტრატეგია აღმაშენებელთან", „ლელოსთან" ჩვენი იდეების განხორციელებისთვის, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, მაგრამ ზოგადად, ძალიან ეჭვი მეპარება, რომ ოდესმე „გირჩი" იხილოთ რომელიმე პარტიასთან კოალიციაში. ჩვენ „ნაციონალურ მოძრაობასთან" შეთანხმება გვაქვს სხვადასხვა რეფორმაზე. თუ ისინი გაიხსენებენ ამას და იტყვიან, რომ მხარს გვიჭერენ, მაგალითად, პრივატიზაციაზე, ძალიან გაგვიხარდება და ვითანამშრომლებთ. იგივე თემით მივალთ „ქართულ ოცნებასთან" და თუ მთელი პარლამენტი შეთანხმდება, რომ ქვეყანაში პრივატიზაცია გავაკეთოთ, „ნაციონალურ მოძრაობასაც" ვეტყვი მადლობას და „ქართულ ოცნებასაც", - განაცხადა სანდრო რაქვიაშვილმა.

გიორგი ვაშაძის განცხადება შეფასდა მმართველ გუნდშიც.

- 2020 წლის არჩევნების შემდეგ „ნაციონალურმა მოძრაობამ" დემოკრატიის, პარლამენტარიზმისა და ოპოზიციური სპექტრისთვის მავნე, დამაგრეველი პოლიტიკა აირჩია და ბევრი პარტია ჩაიყოლა, - ამბობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ირაკლი ქადაგიშვილი და დასძენს, რომ დიდ ოპოზიციურ გაერთიანებას პერსპექტივა აღარ აქვს. მისივე თქმით, ადრე თუ გვიან, ძალიან ბევრი პოლიტიკური პარტია მიხვდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის" მიერ არჩეული გზა არის ჩიხური.

# მშვიდობის, სპორტისა და მეგობრობის მასშტაბური ველოტური

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*წარმოშობით ქედის მუნიციპალიტეტიდანაა, დაამთავრა ბათუმის №2 საშუალო სკოლა. პროფესიით მშენებელი ინჟინერია. ველოსიპედთან კავშირი არასდროს ჰქონია, თუმცა ამ ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით უკვე 21 ქვეყანაშია ნამყოფი*

ნოდარ ბერიძე 2012-2014 წლებში ჯუმბერ ლეჟავას მენეჯერი გახლდათ. ცნობილი მსოფლიო მოგზაური მან 2012 წლის 27 სექტემბერს გაიცნო თბილისში და რითაც შეეძლო, ეხმარებოდა, მათ შორის, ფინანსურადაც. 2013 წელს ერთად მოაწყვეს საქართველოში 17-დღიანი ველოტური - იყვნენ 42 ქალაქსა და რაიონში. მაშინ ნოდარ ბერიძე ამ ტურების ორგანიზატორი, მხარდამჭერი და სპონსორი გახლდათ, თორემ ველოსიპედით ჯუმბერ ლეჟავა მოგზაურობდა.

2014 წელს ევრაზიის ველოტურს გეგმავდნენ, როცა უკრაინაში ომი დაიწყო. მაშინ ჯუმბერ ლეჟავამ სთხოვა, რომ უკრაინაში მშვიდობის ტური მოეწყოთ. დაიწყეს კიდეც მზადება და როცა ის კოპიტნარში თვითმფრინავში ჯდებოდა, შეატყობინეს ჯუმბერ ლეჟავას გარდაცვალების ამბავი. ეს იყო 2014 წლის 25 ივლისი. ამის შემდეგ უკრაინაში დაგეგმილი ველოტური მან დამოუკიდებლად მოაწყო. როგორც ამბობს, ჯუმბერ ლეჟავასთან, ამ ძალიან საინტერესო პიროვნებასთან, ორწლიანმა ახლო ურთიერთობამ მას ბევრი რამ შესძინა. ერთი თვე არ იყო გასული მისი გარდაცვალებიდან, რომ უკრაინაში ტური მარტო დაიწყო 2014 წლის 24 აგვისტოს, უკრაინის დამოუკიდებლობის დღეს. 5000 კილომეტრი ორთვენახევარში განვლო. საინტერესო კი ისაა, რომ ნოდარი არ არის პროფესიონალი ველოსიპედისტი, სპორტის სფეროში ის მოჭიდავეა. მაგრამ ველოტურების დროს გულთბილმა შეხვედრებმა ამ საქმის გაგრძელება გადააწყვეტინა. დღეში 100 კილომეტრის გავლა, ამ საქმისთვის ფიზიკურად მოუმზადებელი ადამიანისთვის ადვილი არ არის. უკრაინიდან ჩამოსვლის შემდეგ, ცნობილმა პიროვნებებმა, მათ შორის ჯამლეტ ხუხაშვილმა მოუწონეს ეს საქმე და მისი გაგრძელება სთხოვეს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრამ, მისმა ლოცვა-კურთხევამ საბოლოოდ გადააწყვეტინა ველოტურის გაგრძელება. ამის შემდეგ ის კიდევ რამდენიმეჯერ შეხვდა პატრიარქს, მეოთხედ 2018 წელს, მაშინ, როცა კავკასიის ტური ჩაატარა. მთლიანობაში უკვე 65 ათასი კილომეტრი აქვს გავლილი მინუს 38 გრადუს ყინვაში, შორეულ აღმოსავლეთში, სიცხეებშიც, ამის შესახებ ვრცლად ინტერნეტშიც შეგიძლიათ წაიკითხოთ.

ამჟამად, პანდემიის გამო, გაჩერებულია. ოქტომბერში ჩამოვიდა მოსკოვიდან, სადაც ქართულმა დიასპორამ შეხვედრა და პრეზენტაცია მოუწყო მოსკოვის ეროვნებათა სახლში. საკმაოდ ცნობილი ქართველები უჭერენ მას მხარს, ყველა სთხოვს, რომ პროექტი არ შეაჩეროს. სხვათა შორის, იგეგმებოდა ლაპლანდიიდან-ოლიმპომდე (ფინეთიდან საბერძნეთამდე) ველოტური, მაგრამ პანდემიამ გეგმებში ისევ შეიტანა ცვლილებები.

იხ. მე-8 გვ.

# ალიანსის მიერ გამოქვეყნებული განცხადების თანახმად...



ნატოს ჯარები სამხედრო მზადყოფნაში მოჰყავს და დამატებით გემებსა და გამანადგურებელ თვითმფრინავებს გზავნის აღმოსავლეთ ევროპაში, უკრაინის საზღვრებთან რუსეთის სამხედრო ჯარების თავმოყრის პარალელურად.

ინფორმაციის თანახმად, დანია ბალტიის ზღვაში ფრეგატს, ლიეტუვაში კი F-16 ტიპის ოთხ გამანადგურებელს გზავნის, ესპანეთი ნატოს საზღვაო ძალებისთვის გემებს აგზავნის და ბულგარეთში გამანადგურებლების გაგზავნის გეგმას განიხილავს. საფრანგეთმა რუმინეთში შეიარაღებული ძალების გაგზავნის მზადყოფნა გამოთქვა, ნიდერლანდები ბულგარეთში აპრილიდან F-35 ტიპის ორ გამანადგურებელს გაგზავნის, შეერთებულმა შტატებმა კი განაცხადა, რომ ალიანსის აღმოსავლეთ ნაწილში სამხედრო ყოფნის გაზრდას გეგმავს.

„მივესალმები მოკავშირეების მხრიდან ნატოში დამატებითი ძალების კონტრიბუციას. ნატო გააგრძელებს ყველა საჭირო ზომის მიღებას მოკავშირეების დასაცავად, მათ შორის ალიანსის აღმოსავლეთ ნაწილის გაძლიერებით. ჩვენ ყოველთვის ვუპასუხებთ ჩვენი უსაფრთხოების გარემოს ნებისმიერ გაუარესებას, მათ შორის ჩვენი კოლექტიური თავდაცვის გაძლიერების გზით“, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

ალიანსის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ნატო არის თავდაცვითი ალიანსი.

„2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის საპასუხოდ, ნატომ გაზარდა თავისი ყოფნა ალიანსის აღმოსავლეთ ნაწილში, მათ შორის ლატვიაში, ლიეტუვაში, ესტონეთსა და პოლონეთში მრავალეროვნული საბრძოლო ჯგუფების განთავსებით. მათი ყოფნა ცხადყოფს, რომ ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა მთელ ალიანსზე თავდასხმად ჩაითვლება“, - ნათქვამია განცხადებაში.

რუსეთი, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ ნატოს მიერ ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგზე დამატებითი ძალების გაგზავნა იმის დასტურია, რომ ნატო მუქარის ენას იყენებს და სამხედრო ზეწოლას ცდილობს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრ გრუშკომ განაცხადა.

# ტარიელ ქათამაძე: პარტია „საქართველოსთვის“ პოლიტიკური ოპონენტების სავაჭრო საგნად იქცა

მე-5 გვერდიდან

**- წასულები ბრალს გდებენ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობაში.**

- ვაცხადებ, რომ ჩვენ ვართ ერთადერთი რეალურად ძლიერი პოლიტიკური პარტია, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და არ დაუშვებს მის დაბრუნებას ხელისუფლებაში. იციან ჩვენი რეალური ძალა და ამიტომაცაა, რომ „ქართული ოცნება“ „ნაციონალებთან“ კავშირს გვაბრალებს, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - „ოცნების“ სატელიტობას.

**- ბათუმის საკრებულოში ახლა „ოქროს შუალედი“ გიჭირავთ. ბოლოს და ბოლოს, რომელიმე მხარეს ხომ უნდა გადახვიდეთ?**

- ჩვენ არავის მხარეს არ ვიხრებით, მხოლოდ ხალხის სამსახურში ჩადგომას ვირჩევთ და ყველა ღონეს ვიხმართ მოსახლეობის კეთილდღეობის მისაღწევად. ხელისუფლების ძალოვანი უწყებების მიერ ორგანიზებული ის სპექტაკლი კი, რაც ხალხის საჩვენებლად მოაწყო დავით ცეცხლაძემ და მისმა გუნდმა, საკმაოდ დაბალ დონეზე, უნიჭოდ შესრულებული იყო.

**- ბათუმის საკრებულოში მყოფი თქვენი პარტიის ორი წევრი თუ არ დაიწყებს მოქმედებას, ქალაქი პარალიზებული იქნება.**

- მივუსხდებით მოლაპარაკებების მაგიდას და ავირჩევთ ამ ჩიხიდან ოპტიმალურ გამოსავალს. უკვე შევთავაზეთ მათ რამდენიმე ვერსია, აკაკი გვიანიძემ მოითხოვა კიდეც საკრებულოს სხდომის მოწვევა, რათა დავასრულოთ ქალაქში არსებული კრიზისი, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგი არ ჩანს, რადგან „ქართული ოცნებაც“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“ ისე არიან დაკავებული პოლიტიკური თამაშებით, ხალხისთვის ვერ იცლიან. ამ ქალაქში ჩვენ წარმოვადგენთ ერთადერთ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც სურს წარმოქმნილი კრიზისის დასრულება და ქალაქის პრობლემებისი მოგვარება, ამიტომ ჩვენთვის გასაგებია ის გაუგონარი თავდასხმები, რაც ორივე მხრიდან ხორციელდება ჩვენი გუნდის წევრებზე. ამისთვის მზად ვართ, რადგან ზუსტად ვიცით, რას ვაკეთებთ და რას გავაკეთებთ მომავალში.

**- საუბარი იყო თქვენს ვიცე-მერობაზეც...**

- ეს აბსურდია, თანაც ისეთი, რომ ამაზე კომენტარის გაკეთებაც არ მინდა.

# რა ვიცით ახალ შტამზე?

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსის ახალ ვარიანტზე გასული წლის 24 ნოემბერს შეიტყო. ახალ შტამს «ომიკრონი» უწოდეს. ის მკვეთრად განსხვავდება წინამორბედებისგან: მის გენომში აღმოჩენილია 50-მდე მუტაცია, რომლებმაც ინდივიდუალურად შეიძლება იმოქმედონ ვირუსის ხასიათზე. მიუხედავად მოქმედი შეზღუდვებისა, საოცარი სისწრაფით ვრცელდება მთელ მსოფლიოში. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ზედა სასუნთქ გზებში «ომიკრონი» 70-ჯერ უფრო სწრაფად მრავლდება, ვიდრე «დელტა». ეს, ერთი მხრივ, ამ ვირუსის დადებითი მხარეც არის, რადგან ცხვირხახასა და ბრონქებში იგი ნაკლებ საშიში მოქმედებისაა. საფრთხე იქმნება მაშინ, როცა COVID-19 ფილტვებში აღწევს. სწორედ მაქ «ომიკრონი» 10-ჯერ უფრო სუსტია, ვიდრე «დელტა», რაც დამაიმედებელი ინფორმაციაა. ჯერჯერობით, «ომიკრონით» დაინფიცირებულებს ექიმების ინტენსიური ჩარევა მინიმალურად ესაჭიროებათ, თუმც ამ შტამსაც უნდა უფრთხილდნენ ხანდაზმულები.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ «ომიკრონმა» ცვლილება განიცადა სწორედ კორონავირუსის ე. წ. გვირგვინის ნაწილში, ისწავლა უჯრედებში უფრო ეფექტურად შეღწევა, რამაც გაზარდა მისი გადადების სიჩქარე. ამასთან, «ომიკრონის» დიაგნოსტირება გართულდა, რადგან ტესტები მორგებული იყო სწორედაც გვირგვინში მოთავსებული სპაიკ-პროტეინების აღმოჩენაზე, სადაც განიცადა «ომიკრონმა» მუტაცია. ასევე, ანტისხეულებიც (ვაქცინირებულებში თუ კორონაგადატანილებში) ბრძოლას ვირუსთან იწყებდნენ გვირგვინზე განლაგებული საცეცების ნეიტრალიზებით, ახლა კი მათში მომხდარმა ცვლილებამ «დააბნია» ანტისხეულები, შესუსტდა იმუნიტეტი და ვაქცინის მოქმედება.

მართალია, ჯერჯერობით დამაიმედებელია, რომ «ომიკრონით» ავადობის შემთხვევაში 2-3-ჯერ უფრო დაბალია პაციენტის ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობა, მაგრამ ეს დამშვიდების საშუალებას ბოლომდე მაინც არ გვაძლევს.

«ომიკრონით» დაინფიცირებულებში თუნდაც ის დაბალი მაჩვენებელი ჰოსპიტალური მკურნალობისა მთავრობებს მაინც პრობლემებს უქმნის ავადობის საოცრად მზარდი მაჩვენებლების ფონზე. ეს მაღალი დინამიკა მაინც მიგვიყვანს საავადმყოფოების გადავსებამდე და კოლაფსში ჩააგდებს ჯანდაცვის სისტემას ბევრ ქვეყანაში.

«ომიკრონი» არავის ინდობს, აცრილები, კორონაგადატანილები მისთვის საკმარისად დაცულები არ არიან, რამდენადაც ეს შტამი კარგად ადაპტირდა ჩვენს იმუნურ სისტემასთან. სტატისტიკამ ამ მოკლე პერიოდში ისიც ცხადყო, რომ ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც დაბალია მოსახლეობის ვაქცინაციის მაჩვენებელი. ჰოსპიტალიზაციას უპირატესად საჭიროებენ 60 წელს ზევით ასაკის პაციენტები და 5 წლამდე ასაკის ბავშვები(!).

რაც უფრო დროის დიდ მონაკვეთში მიმდინარეობს ინფექცია (ჩვენს შემთხვევაში - 2019 წლის დეკემბრიდან), მით უფრო მეტჯერ ასწრებს ვირუსი გამრავლებას და მუტაციას.

არსებული თეორიის მიხედვით, რადგანაც სამხრეთ აფრიკაში მცხოვრებთა აივ/შიდსით ავადობის მაღალი მაჩვენებელია, სავარაუდოდ, ასეთ პაციენტს დაბალი იმუნიტეტის ფონზე კოვიდინფექცია ხანგრძლივად ჰქონდა და ვირუსმა მოასწრო გრძელი ევოლუციური გზის გავლა მის ორგანიზმში და «ომიკრონად» მოგვევლინა. მედიკოსების აზრით, თუ მსოფლიოს მასშტაბით უფრო ინტენსიურად წარიმართება ვაქცინაციის კამპანია, კორონავირუსის ახალი შტამების გაჩენის ნაკლები საფრთხე იქნება.

PCR-ტესტებისთვის ადვილად შეცვლიან რაღაც დეტალს, რომელიც უფრო ეფექტურად აღმოაჩენს «ომიკრონს», თუკი ამის აუცილებლობა შეიქმნება, ამდენად, ეს საგანგაშო თემას არ წარმოადგენს.

ასევე, ვაქცინების მწარმოებელი კომპანიები უწყვეტად აკვირდებიან ვირუსის მუტაციას და ტესტავენ თავიანთ ვაქცინებს ეფექტურობაზე სხვადასხვა მუტირებული შტამის მიმართ. ჯერჯერობით გვაიმედებენ, რომ არსებული ვაქცინები მშვენივრად გვიცავენ დაავადების რთულად მიმდინარეობისა და ლეტალური გამოსავლისგან. ნაკლებდამაიმედებელია მეცნიერების მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ გადატანილი «დელტა» შტამით წარმოქმნილი იმუნიტეტი 10-ჯერ უფრო სუსტია «ომიკრონისთვის», ხოლო უხანის ვირუსით დაავადებულთა ორგანიზმში გამომუშავებული ანტისხეულები 40-ჯერ უფრო სუსტად იცავენ ახალი შტამისგან ორგანიზმს. ასე რომ, ვაქცინაცია მაინც შეუცვლელი ფაქტორია ჩვენი ორგანიზმის დაცვისთვის თუნდაც «ომიკრონთან» მიმართებაში. თუ ბოლო მეორე აცრიდან 6 თვე გავიდა, საჭიროა ბუსტერ-დოზის დამატება, რომელიც საგრძნობლად ზრდის ორგანიზმის იმუნიტეტს. მაგ. ფაიზერის ბუსტერ-დოზა 25-ჯერ ზრდის იმუნიტეტს «ომიკრონის» მიმართ. კვლავ დღის წესრიგში რჩება დისტანციის დაცვა, პირბადის ინტენსიური ტარება (არ დაგავიწყდეთ მისი ხშირი გამოცვლა), ხელების ხშირი დაბანა საპნით, სპეციალური ხსნარით დამუშავება, დახურულ სივრცეებში ჰაერის ხშირი განიავება - ეს დაგვიცავს ინფექციისგან.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»

მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა

ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 24/01/22, 19 55 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# მეა ივანისელი: ადამიანების სიყვარული შეაგროვეთ

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*სხვისი ტკივილის გაზიარება, თვითგანცდა - ეს ადამიანის ამქვეყნად მოვლინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არსია, ასე სწამს და ამ სულისკვეთებით ცხოვრობს ღირსეული ქალბატონი* ***მეა ივანისელი,*** *წარმატებული მთარგმნელი და პოეტი. მის მიერ თარგმნილი ლექსები შესულია რუსული პოეზიის ანთოლოგიაში. მეა ხატავს კიდეც, ფერებითაც გვესაუბრება თავის განწყობაზე... ამ საინტერესო ქალბატონს კარგად იცნობენ ბათუმელები, იგი არაერთი პოეტური თავყრილობის მონაწილეა... დღეს ქალბატონი მეა ჩვენი გაზეთის სტუმარია.*



**- მეა ივანისელი - საინტერესო შემოქმედი მრავალმხრივი ინტერესებით, რას დაამატებდით ამ დახასიათებას?**

- ალბათ, დამეთანხმებით, ძნელია საკუთარ თავზე საუბარი, თუმცა მაინც ვიტყვი რომ ჩემთვის პრიორიტეტი ადამიანის შინაგანი სამყაროა, მისი ბუნება, ხასიათი, ურთიერთობა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან. ამ ნიშნით ვაფასებ საკუთარ თავს და ადამიანებს. ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად ვახერხებ კომუნიკაციას მათთან, რაც არცთუ ისე იოლია და ასე ვინარჩუნებ წონასწორობას, რომელიც ჩემი სიმშვიდის ერთგვარი გარანტია.

**- აწმყო წარსულზე დგას. ეთანხმებით ამ აზრს? თქვენი პირველი ურთიერთობები ცხოვრებაში....**

- დიახ, გეთანხმებით, ადამიანი საკუთარი წარსულიდან მოდის, იმ წარსულიდან, ჯერ კიდევ მის დაბადებამდე რომ არსებობდა. პირველი ურთიერთობები ყველაზე ახლობელ ადამიანებთან გვაქვს, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენს ჩამოყალიბებაში, გვაძლევს მიმართულებას, ვიპოვოთ საკუთარი თავი ამ სამყაროში.

**- დაბადების დღე - ფიზიკური და სულიერი, თქვენი ტრანსფორმაცია დღემდე...**

- ადამიანი ფიზიკური სხეულისგან შედგება, თუმცა ფიზიკური და სულიერი სამყაროები უხილავი ძალით არის ერთმანეთთან დაკავშირებული. თავად ადამიანის ტრანსფორმაცია უმეტესწილად უკავშირდება ცხოვრებისეულ მოვლენებს. სიხარული, ტკივილი, გამარჯვება, დამარცხება, სიცოცხლე, სიკვდილი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ეს მონაცვლეობა ქმნის ადამიანში სულიერი ტრასფორმაციის წინაპირობას. ჩემში კი სულიერი ტრანფორმაცია საკუთარი თავის პოვნას უკავშირდება.

**- თქვენ ხართ პოეტი, მთარგმნელი... უკეთ სად შეძელით საკუთარი შესაძლებლობების განსხეულება?**

- ჩემთვის პოეზია ახალი სარკმლის გამოღების საუკეთესო საშუალებაა. პოეზიაში ჩანს ჩემი სულიერი სამყარო, თარგმანში კი ჩემი ინდივიდუალიზმი, ამიტომ ორივე მნიშვნელოვანია. თარგმნა ჩემთვის ცოცხალი პროცესია, სადაც პოეტის განწყობის ძიება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, იბადება ახალი თარგმანი, თვითმყოფადი და ჩემეული.

**- გვიამბეთ იმ უცხოური და ქართული გამოცემების შესახებ, რომლებშიც თქვენი შემოქმედება არის წარმოდგენილი...**

- ჩემი ლექსები და მინიატურები დაბეჭდილია სხვადასხვა კრებულსა და ჟურნალში, ვარ 50 თანამედროვე პოეტის კრებულის - „ამ საუკუნის ფოლიანტების“ წინასიტყვაობის ავტორი, ერთ-ერთი პოეტური კრებულის რედაქტორი, ასევე ერთ-ერთი ავტორი თხზულებათა კრებულისა „სარკის მიღმა“, რომელიც 2018 წელს გამოიცა. ჩემი თარგმანები შესულია სხვადასხვა კრებულში, ასევე, „რუსული პოეზიის ანთოლოგიაში“.

**- წარმატებული მთარგმნელი ხართ...**

- ჩემი, როგორც მთარგმნელის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა ლიტერატურის მთარგმნელთა ასოციაციის დამფუძნებელმა და პრეზიდენტმა, ბატონმა ალექსანდრე ელერდაშვილმა, რომლის ღვაწლის დავიწყება შეუძლებელია. მისმა გარდაცვალებამ დიდი დაღი დაასვა თავად ამ ჯგუფსა და მთარგმნელებს.

**- სამყაროს ფერებითაც ესაუბრებით, ხატავთ... რა დატვირთვა აქვს ფერებს თქვენს ცხოვრებაში?**

- ხატვა ჩემთვის საკუთარი შესაძლებლობების გამოხატულებაა, ფერებით ემოციების გადმოცემის საუკეთესო საშუალება. თუმცა ის, რომ ვხატავ, ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. ფერებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ყველაზე მეტად თეთრი ფერი მიყვარს, რადგან ის ყველაფერშია, ატარებს დიდ ენერგეტიკას და სუფთა ფურცლის მსგავს ასოციაციას იწვევს.

**- როგორ ფიქრობთ, ადამიანის თავისუფლება, განსაკუთრებით კი შემოქმედის, რამდენად არსებითია საზოგადოების განვითარებისათვის?**

- ადამიანის შინაგანი თავისუფლება უმნიშვნელოვანესია, რადგან ის აუცილებლად აისახება როგორც მისი ცხოვრების ნებისმიერ სიტუაციაში, ასევე შემოქმედებაშიც. შუმერებს აქვთ ძალიან კარგად განმარტებული თავად თავისუფლების არსი, თავისუფლება ჩვენს ნებაზე სიარულს კი არა, საკუთარი თავის პოვნას, საკუთარ თავთან დაბრუნებას ნიშნავს.

**- არის საქართველო „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანა?.. ვგავართ კი ჩვენს სამშობლოს?**

- საქართველო „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის ქვეყანაა. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემები - სიყვარული, მეგობრობა, გმირობა დღეს გარკვეულწილად გაუფასურდა. ალბათ, ნელ-ნელა ვშორდებით იმ ღირებულებებს, რომლითაც არც ისე შორეულ წარსულში ვგავდით კიდეც ჩვენს სამშობლოს.

**- ამ რთულ დროში, კოვიდპანდემიასთან ერთად, ათასი უბედურებაც არ გვაკლია. სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღე როგორ შევინარჩუნოთ, რას უნდა გავუმკლავდეთ, რა რჩევას მისცემდით ახალგაზრდობას?**

- ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით, კოვიდპანდემიამ შეცვალა სამყარო, გარკვეულწილად ჩაკეტა და ეს ჩაკეტილობა, სამწუხაროდ, ადამიანების ფსიქიკაზეც აისახა. ასეთ დროს მთავარია, რეალობას თვალი გავუსწოროთ და ვისწავლოთ ამ რეალობასთან ერთად ცხოვრება. ადამიანი თავად არის საკუთარი ემოციის და საქციელის მმართველი და ყოველთვის მოახერხებს უკეთესობისკენ მოაბრუნოს არსებული სიტუაცია.

**- სამოთხე და ჯოჯოხეთი - ადამიანი მუდმივად ფიქრობს ამაზე, ათეისტებიც კი... თქვენ რას ფიქრობთ?**

- სამოთხე და ჯოჯოხეთი - ეს ის თემაა, რომელიც საუკუნეებია ათას კითხვას ტოვებს... ჩემი აზრით, სამოთხეც და ჯოჯოხეთიც აქვეა. ხშირად ის ადამიანის სულიერი მდგომარეობაა და არა - გეოგრაფიული ადგილი დედამიწაზე...

**- სხვისი ტკივილის გაზიარება, თანაზიარობა - ეს ჩვენი ადამიანობის შტრიხ-კოდია?**

- სხვისი ტკივილის გაზიარება, თანაგანცდა - ეს ადამიანის ამქვეყნად მოვლინების ერთ-ერთი მთავარი, მნიშვნელოვანი არსია, სამწუხაროდ, ადამიანების უმრავლესობამ დაკარგა ეს უნარი.

**- სიკეთეს ვაკეთებთ, ქველმოქმედებას ვეწევით. მავანნი ამას ტელევიზებიდან გვამცნობენ და შოუებს გვთავაზობენ... ეს ვითომ სიკეთეა?**

- სიკეთის გაკეთებას შედეგი უნდა მოჰყვებოდეს, სიკეთემ უნდა შეცვალოს არსებული მდგომარეობა ან კონკრეტული ადამიანი უკეთესობისკენ. მხოლოდ სიტყვები არაფერს ცვლის, ამიტომ ის ხშირ შემთხვევაში აზრსაც კარგავს.

**- „ხანდახან ხეებს უკეთ ესმით ადამიანების სევდა“ - როცა ამას წერდით, ინსპირაცია რა იყო... და, საერთოდ, თქვენ და ბუნება...**

- ადამიანი ბუნების შვილია, ის თავს ყველაზე კარგად ბუნებასთან სიახლოვის დროს გრძნობს. ერთხელ, როცა ძალიან გამიჭირდა სულიერად, ბუნებაში განვმარტოვდი, საოცარი შვება ვიგრძენი, ირგვლივ სიმწვანე, ბალახის სურნელი, ხეები, რომლებიც მდუმარედ იდგნენ და ჩემს გულისთქმას უსმენდნენ... ჩემთვის იმ დროს ხეები განსხეულდნენ.

**- სიყვარული ღმერთია... სიყვარული აგვამაღლებს...ეს ყველამ იცის, მაგრამ მაინც უსიყვარულოდ და უღმერთოდ ცხოვრობს ბევრი...**

- ადამიანმა დროთა განმავლობაში თავად გააუბრალოვა ყველაფერი, რაც მის სულს და გულს მოიცავს. ის დაშორდა საკუთარ თავს და, შესაბამისად, ღმერთსაც. ადამიანს ხშირად ავიწყდება, რომ სიყვარულისთვის, სიკეთისთვის მოვიდა დედამიწაზე და უნდა ახსოვდეს, რომ წამზომი ჩართულია, უნდა მოვასწროთ სიყვარულის გაცემა, სიკეთის კეთება.

**- თქვენი გზავნილი - მკითხველს.**

- ადამიანების სიყვარული შეაგროვეთ, რადგან სხვა ყველაფერი მირაჟია მტვრისფერ მიწაზე.

**- ადამიანი არ „მთავრდება“ დედამიწაზე - ეს თქვენი და არამარტო თქვენი აზრია. სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე...**

- სიკვდილის მერე სიცოცხლე სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი დატოვებული სიკეთე, სიყვარული, შემოქმედება, სახელი, რომელიც კვლავ გააგრძელებს სიცოცხლეს ჩვენი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ.

**- საინტერესოა თქვენი თვალით დანახული ბათუმი, თქვენი შთაბეჭდილებები. რას უსურვებთ ბათუმელებს?**

- ბათუმში ჩემთვის ძვირფასი ადამიანები ცხოვრობენ, ამიტომ ეს ქალაქი ძალიან მიყვარს, იგი ერთ-ერთი ულამაზესია, ბათუმელებს საუკეთესო სურვილებს ვუსურვებ.

**- ერთი ნათარგმნი ლექსი, ანთოლოგიის შემდგენლებს ყველაზე მეტად რომ მოეწონათ...**

- ეს თარგმანი შევიდა რუსული პოეზიის ანთოლოგიაში და მეც ძალიან მიყვარს. ესაა სერგეი ესენინის

„Мне грустно на тебя смотреть“

*მე შენი ხილვა სევდას მგვრის სულში,*
*რა ტკივილია, და მრჩება დარდად,*
*თითბერისფერი ტირიფის გარდა,*
*სექტემბრის თვეში ჩვენ არა დაგვრჩა.*
*სხვის ტუჩებს ერგო ამბორი შენი*
*გაფანტა სითბო, თრთოლვა სხეულის,*
*თითქოს წვიმა ცრის ჩემი სულიდან -*
*უსიცოცხლო და არაჩვეული.*
*არაფერს ვდარდობ! არ მეშინია.*
*სხვა სიხარულის გაიხსნა ფარდა.*
*რადგან არ დარჩა აღარაფერი,*
*ნოტიოდ ხრწნადი სიყვითლის გარდა.*
*ჩემი თავიც ვერ შემოვინახე*
*მშვიდი ყოფისთვის – ღიმილის მჩენი.*
*რა ცოტა არის გზები განვლილი,*
*და რა ბევრია შეცდომა ჩემი.*
*სასაცილოა ყოფნაც, არ ყოფნაც,*
*ასე იქნება მარადჟამს, ვხვდებით.*
*ვით სასაფლაო, მოკირწყლულ ბაღით,*
*არყნარში მძიმედ ჩაშლილი ძვლებით.*
*ასე დავჭკნებით და შევწყვეტთ ხმაურს,*
*ჩვენც, ვით სტუმარნი, წვეულნი ბაღის...*
*რადგან ყვავილნი შუა ზამთარში*
*არ ხარობს, მათზე დარდიც არა ღირს.*

# მშვიდობის, სპორტისა და მეგობრობის მასშტაბური ველოტური

მე-7 გვერდიდან

...თუმცა უკვე გადაწყვეტილია, სანკტ-პეტერბურგიდან დოჰამდე (რუსეთიდან - ყატარამდე) მოაწყოს ველოტური, რომლისთვისაც საფუძვლიანად ემზადება. იგი რვა თვეს - 240 დღეს გაგრძელდება, გაივლის 12 ქვეყანას და 12 ათასზე მეტ კილომეტრს. მსოფლიო ჩემპიონატი 21 ნოემბერს იწყება დოჰაში, ის კი იქ ჩასვლას 20 ნოემბერს გეგმავს. ერთი სიტყვით, ნოდარ ბერიძე ნაცნობ-მეგობრებთან ერთად ამზადებს პროექტს „გლობალური ველო-ესტაფეტა“ - მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი მასშტაბური მშვიდობის, სპორტისა და მეგობრობის ველოტურს. მისი პირველი ეტაპი იყო 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც რუსეთმა უმასპინძლა, ახლა მზადდება მეორე ტური, რომელიც სანკტ-პეტერბურგიდან (მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ყოფილი მასპინძელი) დაიწყება და წლევანდელ მასპინძელ ქვეყანაში, ყატარში დასრულდება. დოჰაში 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის უკვე კარგა ხანია მასშტაბური მზადება მიმდინარეობს. როგორც გვითხრა, აქ გამგზავრებამდე, აუცილებლად შემოივლის საქართველოში. ამ პროექტის მისიაა გლობალური მოთხოვნა ადამიანურ ღირებულებებზე, გონივრულობასა და სიკეთეზე... ხალხის, ბიზნესის, ორგანიზაციებისა და ქვეყნების ინტერესების დაკავშირება უკეთესი მომავლისთვის, მიზანი კი საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ესტაფეტის წარმომადგენლობების შექმნა მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად, გზადაგზა - შეხვედრები, ინტერვიუები ცნობილ ადამიანებთან, 2022 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის პოპულარიზაცია, ამა თუ იმ ქვეყნის სტუმართმოყვარეობისა და ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენა, მდგრადი განვითარების თემა, რომელიც ეკოლოგიას მოიცავს.

- პროექტთან „გლობალური ველო-ესტაფეტა“ დაკავშირებით, უკვე სერიოზული მზადება მიმდინარეობს. ჩავატარეთ ონლაინ-პრესკონფერენცია, ის გუნდი შეიკრიბა, რომელიც ამ ტურისთვის მხარდაჭერას და დახმარებას გეგმავს. ჩვენ უკვე მივაწოდეთ ინფორმაცია, საქართველოში ყატარის საელჩოს, რომელიც ბატონმა ელჩმა უკვე გადაგზავნა ყატარში.

**- ამხელა გზაზე ველოსიპედით მოგზაურობა არ არის იოლი. ალბათ სერიოზულად ვარჯიშობთ.**

- რა თქმა უნდა. 14 წელია, ცხოვრების ჯანსაღ წესს მივსდევ. სიგარეტის მოწევას თავი დავანებე. ახლა 52 წლის კაცს ქედამდე, ველოსიპედით გაუჩერებლად შემიძლია, ვიარო. ეს დიდი ველოტური არ იქნება მხოლოდ ველოსიპედით მოგზაურობა. გვინდა, პროექტის პრეზენტაცია სტარტამდე მოეწყოს. 2017 წელს ვიყავი ასტანაში, სადაც ექსპო-2017 ტარდებოდა. მაშინ ვლადივოსტოკიდან მოვდიოდი, ევრაზიის კონტინენტი უნდა გადამევლო, წელიწადზე მეტი ვიყავი გზაში და როცა ასტანაში შევედი, სწორედ იმ ექსპოს გახსნა დაემთხვა. იქ გამოცხადდა, რომ მე რამდენიმე თვე შეუჩერებლივ იმისთვის ვიარე, რომ ამ გახსნაზე მოვხვედრილიყავი. აი, სწორედ ამიტომ მინდა, ყველაფერი ყატარში ოფიციალურად გაკეთდეს. ამ პროექტის განხორციელებაში 100 ათასზე მეტი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას, აუდიტორია კი გაცილებით მეტი იქნება. შემდეგი ეტაპი ტოკიო-პარიზია - 2024 წლის პარიზის ოლიმპიადაზე ვგეგმავთ ჩასვლას. უკვე ვიწვევთ ამ პროექტში მონაწილეობისთვის ველომოყვარულებს, მენეჯერებს, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, მოხალისეებს, პარტნიორებს, სპონსორებს. მასში მონაწილეობა სხვადასხვა კომპანიისთვის, ვფიქრობთ, პრესტიჟული და მომგებიანი იქნება. პროექტის სავიზიტო ბარათი ველოსიპედზე ბედნიერი ადამიანია, - გვითხრა ველომარათონის „მშვიდობის გზა“ ორგანიზატორმა და მთავარმა მონაწილემ ნოდარ ბერიძემ.

***P.S.*** *თუ ვინმეს მისი თანადგომის სურვილი გაგიჩნდებათ, დაურეკეთ 555 95 59 95.*

